# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 2 დეკემბერი 2004 №280 (2301) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



UEFA CUP

## ორი კაკალი გოლი და მორჩა



## 2:5 პანიონიოსთან და 2:13 ჯგუფში

REUTERS ფოტოები

„დინამო“ რომ ევროსარბიელს შეჰყვა და, აგერ გუშინდლამდეც მოატანა, საქართველოს თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩები გუშინ სამმა წყვილმა იმიტომ ითამაშა. მთავარი ამბავი ავლაბარში იყო, სადაც ჩემპიონატის ლიდერ ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხი დაუცდა — გასატანი ვერ გაიტანა, ხოლო მეტოქემ რაც დაარტყა, თითქმის ყველა შეაგდო — „თბილისს“ ნახევარფინალში გასვლის ჩინებული შანსი მიეცა.

...პირველლიგელი „ამერი“ ჩემპიონს ექიდავებოდა და პირველ ტაიმში ბეჭზეც გააკრა „ვიტ ჯორჯია“, თუმც როცა შესვენებაზე ვიტელებმა მცხეთის მშობლიური ჰაერი ღრმად ჩაისუნთქეს, მეორე ტაიმში მეტოქე აღარც ამოასუნთქეს.

ფოთში კი გოლი არ გასულა და ნახევარფინალშიც ალბათ „ლოკომოტივი“ გავა...



## თბილისი 2:0 ტორპედო

## ქუთაისელები აქაც მასპინძლები ვერ იყვნენ



სოშოელებმა „სპორტინგი" როჩემბაკივით წააქციეს

## უეფას თასი
### D ჯგუფი. IV ტური

**სპორტინგი 0:1 სოშო**

0:1 ლონფატი (2)

სპორტინგი: რიკარდუ, ბეტუ სევერუ, რუი ჟორჟე, ანდერსონ პოლგა, ენაკარპირე, პედრუ ბარბოსა (დანი 68), უგო ვიანა, როჟერიუ (რ. ტელო 79), როჩემბაკი, ლიდსონი, დუალა

მწვრთნელი: ჟოზე პეშეირო

სოშო: რიშერი, პეისლი, ო. დაფი, ტალი, ს. დიავარა (ლავო 90), იზაბეი, პიტო, ლონფატი, მატიე, სანტუში (ილანი 77), ზაირი (მენეზი 70)

მწვრთნელი: გი ლაკომბი

გაფრთხილება: ენაკარპირე, პიტო, ტალი, პეისლი, ბეტუ სევერუ, ილანი

მსაჯი: ჰელმუტ ფლაიშერი (გერმანია)

21 349 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| სპორტინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| სოშო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| პანიონიოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:7 | 3 |
| დინამო | 4 | 0 | 0 | 4 | 2:13 | 0 |

ბოლო ტური: 16 დეკემბერი

ნიუკასლი — სპორტინგი

სოშო — პანიონიოსი

## უეფას თასი
### ჯგუფური ეტაპი. IV ტური

**A ჯგუფი**

**ფეიენოორდი 2:1 შალკე**

0:1 პანკე (7), 1:1, 2:1 ს. კალუ (32, 41)

შალკე: ფ. როსტი, ჰამიტ ალტინტოპი, ვალდოხი, კრსტაიჩი, პანდერი (ასამოა 46), უდე კამპუისი (დელურა 64), კ. პოულსენი, ვერმანტი, კობიაშვილი, აილტონი (სანდი 64), პანკე

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

გაფრთხილება: კრსტაიჩი

მსაჯი: დევიდ მესიასი (ინგლისი)

48 000 მაყურებელი

**ფერენცვაროში 1:2 ბაზელი**

1:0 როსა (22), 1:1 ხ. როსი (59), 1:2 ჰუგელი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| შალკე | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| ბაზელი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ჰართსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ფერენცვაროში | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

ბოლო ტური: 16 დეკემბერი

ჰართსი — ფერენცვაროში

ბაზელი — ფეიენოორდი

**B ჯგუფი**

**ბილბაო 1:0 სტიაუა**

1:0 ხ. ეჩებერია (45)

**ბეშიქთაში 1:1 სტანდარდი**

1:0 ოკანი (30), 1:1 ბანგურა (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| ბილბაო | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბეშიქთაში | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| სტანდარდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| პარმა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |

ბოლო ტური: 16 დეკემბერი

სტანდარდი — ბილბაო

პარმა — ბეშიქთაში

**C ჯგუფი**

**აუსტრია 1:1 ბრიუგე**

1:0 გილევიჩი (50), 1:1 ლანგე (90)

**სარაგოსა 2:1 დნიპრო**

0:1 იეზერსკი (2), 1:1 სავიო (10), 2:1 ხენერელო (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დნიპრო | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| სარაგოსა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ბრიუგე | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| აუსტრია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| უტრეხტი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

ბოლო ტური: 16 დეკემბერი

ბრიუგე — სარაგოსა

უტრეხტი — აუსტრია

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი

ვერდერი (მ) 2:4 დორტმუნდი (მ)

## მექსიკა

აპერტურა. პლეი ოფი
1/2 ფინალი. I მატჩი

ატლანტე 2:4 მონტერეი

## ინგლისი

ლიგის თასის 1/4 ფინალი

*მანჩესტერ იუნ.* 1:0 არსენალი

ტოტენჰემი 1:1დ.დ.(პენ.3:4, 0:0) ლივერპული

## პოლონეთი

თასის მეოთხე ეტაპი

ვისლა 4:0 კოშარავა

თბილისის „დინამომ" ბოლო, მეოთხე მატჩიც წააგო უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე და გათამაშებას ჩამაშორდა. ვერ ვიტყვით, რომ ამას არ ველოდით და რაღაც საგანგაშო მოხდა, მაგრამ ბერძნულ „პანიონიოსთან" გუშინდელი მარცხი აქამდელებზე ორმაგად გულდასაწყვეტი გამოდგა. „დინამომ" უდიდესი უპირატესობა გაუშვა ხელიდან და დიდი ანგარიშით წააგო მაშინ, როცა მოსაგები თამაში ჰქონდა.

თავად განსაჯეთ: პირველი ტაიმი ჩვენების იყო. გია გეგუჩაძის გუნდი მოედანს პატრონობდა და ბლომად საგოლე მომენტებიც შექმნა. 38-ე წუთზე კი ანგარიშიც გაიხსნა — მიხეილ კაკალაძემ ბერძნული დაცვის კედელი როგორც იქნა გატეხა — 0:1. შევნიშნოთ, რომ ეს ისტორიული გოლია — „დინამოს" აქამდე უეფას თასის ჯგუფში გოლი ვერ გაეტანა.

„პანიონიოსი" იმდენად უნიათო იყო, რომ პირველ ნახევარში თბილისელთა კარშიც არ დაურტყამს და უფრო მეტიც, კუთხური რომ კუთხურია, ისიც არ ჩაუწოდებია.

ყველაფერი მეორე ტაიმში შეიცვალა. გეორგიოს ვაზაკასმა თამაშში სლოვაკი მარიო ბრეშკა ჩართო და... 21-წუთიან მონაკვეთში „დინამომ" სამი გოლი გაუშვა, სამივე ევაგელოს მანციოსისგან.

მანამდე ლადო ახალაიამ მოახერხა ანგარიშის გათანაბრება და „დინამოს" თამაშის დამთავრებაც იქვე შეეძლო. 2:2-ზე კაკალაძის თავური ბერძენთა მეკარემ გაჭირვებით მოიგერია, დამატებაზე კი იმავე ახალაიამ ცარიელ კარს აცილა. ცოტა ხანში უკვე ლევან მელქაძეს მიეცა შანსი, როცა ის და ახალაია მეკარესთან პირისპირ გავიდნენ და... „ლრეკოს" დარტყმული კარს გადასცდა.

## უეფას თასი
### D ჯგუფი. IV ტური

ათენი. 1 დეკემბერი. 22.45 საათი. პანიონი[illegible] (ტევადობა 11 700)

**პანიონიოსი 5:2 დინამო [illegible]**

0:1 კაკალაძე (38), 1:1 მანციოსი (58), 1:2 ახალაია (60), 2:2, 3:2 მანციოსი (67, 78), 4:2 ბრეშკა (90), 5:2 მარკორა (90)

პანიონიოსი: დრობნი, მაკოსი, დოდი (ბრეშკა 57), იანოპულოსი, ლაგონიკაკისი (დომორო 70), ე. ციოლისი, მარკორა, ა. ციოლისი, გუნდულაკისი, მესაროში (ექსუციდისი 84), მანციოსი
სათადარიგონი: კოლჩიგი, ვლჩეკი, სპიროპულოსი, მიტრუ
მწვრთნელი: გიორგიოს ვაზაკასი

დინამო: ზოიძე, შაშიაშვილი, სილაგაძე, ჭიჭვეიშვილი, კვირკველია, კანდელაკი (დვალი 85), კანკავა, რომერო (ხმალაძე 80), ახალაია (ქუცურუა 74), კაკალაძე, მელქაძე
სათადარიგონი: მამალაძე, სალუქვაძე, მახარაძე, გონჩაროვი
მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: მელქაძე (18), სილაგაძე (37), შაშიაშვილი (66), იანოპულოსი (71), კანკავა (90)

მსაჯები: ალექსანდრუ ტუდორი, კრისტიან ნიცა, ოქტავიან სოვრე, სებასტიენ კოლცესკუ (ყველა რუმინეთი)

# ზამთარი ჩვენი შემოდგომისა სხვებს გაჰქონდათ. დინამოს გამოჰქონდა



მოკლედ, 77-ე წუთზე „პანიონიოსი" 3:2 დაწინაურდა და „დინამოც" ვაბანკზე წავიდა — გეგუჩაძემ ოთხი თავდამსხმელით გააგრძელა თამაში. ეგ არის, ხეირი ამანაც ვერ მოიტანა. პირიქით, ბერძნებმა ჩვენი დაცვა გაჭრეს და ბოლო წუთზე კიდევ ორი გოლი გაიტანეს. თავი ბრეშკამ და კარლოს მარკერამ გამოიჩინეს.

*გია გეგუჩაძე:* საინტერესო მატჩი გამოდგა. საოცრად მაღალი ტემპი იყო და ვფიქრობ, გულშემატკივარს თამაში მოეწონებოდა. როცა ანგარიში 2:2 იყო, ყველაფრის დამთავრება შეგვეძლო, მაგრამ მომენტები ვერ გამოვიყენეთ. მერე რისკზე წასვლა ვარჩიეთ და, რაც მივიღეთ, თქვენც ხედავთ. სამწუხაროდ, წავაგეთ.

ბოლოს კი გეტყვით, რომ „დინამო" თბილისში დღეს 13 საათზე გამოფრინდება.



REUTERS ათენიდან

**ბაჩა შალამბერიძე**

# ვიტ ჯორჯია რუსულ წილს ელის

ნახალწლევს მოსკოვი ტრადიციულ თანამეგობრობის თასს მასპინძლობს. ტურნირში ნაესესრალი ქვეყნების ჩემპიონები მონაწილეობენ და, გეხსომებათ, ბოლო გამარჯვებული თბილისის „დინამოა".

მომავალ ტურნირში კი საქართველოს „ვიტ ჯორჯია" წარადგენს. ახალი დებულების თანახმად, ჩვენებურები ჯგუფური ეტაპიდანვე ჩაერთვებიან გათამაშებაში. პრივილეგიები კი რატომღაც მხოლოდ ორ გუნდზე გავრცელდა — მოსკოვის „ლოკომოტივსა" და კიევის „დინამოს" ნახევარფინალის საგზურები უკვე დაბევებული აქვთ.

გუშინ ტურნირის ჩატარების თარიღებიც გაირკვა. „თანამეგობრობის თასი 2005" 15 იანვარს დაიწყება, ფინალი კი 23-შია.

მონაწილეებს ძველებურად ორი მანეჟი — „სპარტაკისა" და „ცესკას" დარბაზები უმასპინძლებს.

ორგანიზატორებს ჯერ არ დაუდგენიათ, როდის მოაწყობენ წილისყრას, ამიტომ „ვიტ ჯორჯიას" მეტოქეებზე დღეს ვერაფერს გეტყვით.

# დავით ყიფიანის თასი

## მეოთხედფინალი. პირველი მატჩები



# გოლი კი არა, გოოოლ!

## ტორპედოს გასაკეთებელი თბილისმა გააკეთა

თბილისი. 1 დეკემბერი. 13 საათი. ოლიმპი. 800 (ტევადობა 3 000)

**თბილისი 2:0 ტორპედო**

1:0 გოგუა (9), 2:0 კვარაცხელია (51)

| | |
|---|---|
| თბილისი: შეყრილაძე, ა. კალაძე, ელიავა, დ. ოდიკაძე, ორბელაძე, გოგუა, გეწაძე (მიქაძე 87), გ. კვარაცხელია, ხოჯავა, ფიფია (გ. ნუგ. ჭელიძე 78), ს. იაშვილი | ტორპედო: სტურუა, გამეზარდაშვილი, ლ. მერებაშვილი, ებრალიძე, მეშარნიშვილი, რევაზიშვილი, ბოლქვაძე, კოშკაძე, ნერგაძე (მუმლაძე 11; გ. ჩხეტიანი 86), ბაბუნაშვილი, მეგრელაძე |
| *სათადარიგონი:* ალავიძე, ქემოკლიძე, აფციაური, ლოლაძე, მიქიაშვილი | *სათადარიგონი:* გ. გაბელია, ადუაშვილი, ლალაძე, დათუნაშვილი, ჯანჯალია |
| მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი | მწვრთნელი: ოთარ გაბელია |

გაფრთხილება: კოშკაძე (32), ხოჯავა (43), კვარაცხელია (72), ბაბუნაშვილი (76)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი



ოთარ გაბელია მოკლე სკამმაც დაალალატა

კახა შალამბერიძე

ალალად ვიტყვით — „თბილისს“ მისხალსაც კი არაფერს ვუკარგავთ, მაგრამ „ტორპედო“ მაინც შეგვეცოდა. ანგარიში სხვანაირიც შეიძლებოდა ყოფილიყო, თუმც ფეხბურთი ხომ იმითაა საინტერესო, რომ ლოგიკას ხშირად გაურბის.

ლუის ცაკარიასის გუნდმა თავისი საქმე გააკეთა — ორი უპასუხო გოლი გაიტანა და ქუთაისში ნახევარფინალის იმედით მიდის. „ტორპედოს“ ძალიან გაუჭირდება ორბურთიანი სხვაობის აღმოფხვრა, თუმც ფეხბურთსა და ლოგიკაზე უკვე ვთქვით...

მასპინძლებმა სწრაფი გოლით გატეხეს მეტოქეო, ვერ ვიტყვით — „ტორპედოს“ ამის მერეც ყინჩად ეჭირა თავი. გოლი კი ასე გავიდა: გოჩა ხოჯავამ ჯარიმიდან ჩააწოდა, ქარმა ბურთს უცნაური ტრაექტორია მისცა, თუმც ზვიად სტურუამ მოგერიება მაინც შეძლო. რად გინდა, დამატებაზე გოგიტა გოგუამ იმარჯვა და ახლოდან შეაგდო — 1:0.

გაშვებული გოლის გარდა „ტორპედომ“ ერთი დარტყმაც მიიღო — ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა დაკარგა — გია ნერგაძე ისე დაშავდა, რომ თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო.

ამასობაში „თბილისი“ დაშვიდდა, სტუმრებმა კი თამაში დაალაგეს და გია მეგრელაძეს მიეცა შანსი — მეკარემ იმარჯვა.

ტაიმის ყველაზე სახიფათო მომენტი 25-ე წუთზე შეიქმნა, როცა გიორგი რევაზიშვილმა თბილისელთა კარის ხარიხა შეაზანზარა, დამატებაზე კი ალექსანდრე კოშკაძეს არ გაუმართლა — მეკარემ კუთხურზე გადააგდო ბურთი.

„თბილისი“ უფრო შეტევაში გამოირჩეოდა, დაცვა კი ვერ იდგა სათანადოდ და ამან ერთხელაც აამოქმედა მეგრელაძე, თუმც ბექა შეყრილაძე უშეცდომოდ იცავს კარს.

ქუთაისური შტურმი მსაჯმა თხუთმეტიოდე წუთით შეწყვიტა — გუნდები შესვენებაზე გავიდნენ. მეორე ტაიმი კი... მეორე ტაიმს, თქვენი ნებართვით, 51-ე წუთიდან დავიწყებთ. [illegible] დაც არაფერი [illegible] „თბილისის“ [illegible] რდა, გივი კვარაცხელიამ მოედნის ცენტრში მოიგდო ბურთი, გაიხედგამოიხედა, თავი დახარა და... წავიდა, ერთი მცველი, მეორე... კვარაცხელიას მაინც არავინ ეხსნება, სხვა გზა არ არის, გივიმ ერთი მოძრაობით მთელი „ტორპედოს“ დაცვა ვაშლივით გაჭრა, საჯარიმოში შევიდა და აუღებელი დაარტყა — 2:0. გოლი კი არა, გოოოლი იყო.

პირველი სათასო მატჩისთვის 2:0 უკვე სერიოზული ჰანდიკაპია და „თბილისსაც“ საქმე გაკეთებული ჰქონდა. ახლა საკითხავი ის იყო, „ტორპედო“ რას უპასუხებდა, მაგრამ... ერთხელაც გამოჩნდა, რომ ქუთათურებს მოკლე სკამი აქვთ. ოთარ გაბელიამ პირველ ტაიმში ერთი იძულებითი შეცვლა გააკეთა, როცა ნერგაძის ნაცვლად შალვა მუმლაძე შეუშვა მოედანზე და ისე გამოვიდა, რომ ამით ხეირი ვერ ნახა — მატჩის ბოლოსკენ მუმლაძე უკან გაიხმო და გაგა ჩხეტიანს ენდო. ეგ იყო და ეგ, სათადარიგოთა სკამი „ტორპედომ“ ფაქტობრივად ვერაფერში გამოიყენა.

სტუმრებს გოლის გატანა მაინც შეეძლოთ, მაგრამ კოშკაძეს, მუმლაძეს და ბოლქვაძეს თბილისელთა მეკარემ ყველა შანსი მოუსპო. ერთხელ მეგრელაძესაც არ გაუმართლა — ბაქნიდან იმავ შეყრილაძეს ვერ აჯობა — ბექამ გაჭირვებით მოიგერია ბურთი.

ბოლო წუთზე კი „ტორპედოს“ კარის დარაჯის ჯერი იყო — სტურუამ ხუთიოდ მეტრიდან ზედიზედ ორჯერ გაამწარა შეცვლაზე შესული ორი გიორგი — ჭელიძე და მიქაძე.

0:2 და „თბილისმა“ ცალი ფეხი ნახევარფინალში ჩადგა. „ტორპედო“ ძალიან რთული ამოცანის წინაშეა, თანაც იქამდე ერთი ბარიერიცაა — 5 დეკემბერს ჩემპიონატის ლიდერი „ტორპედო“ „თბილისს“ ერთხელაც დაეჯახება და თუ მოიგო, ზამთრის ჩემპიონი გახდება.



სანდრო იაშვილი (№23) ზვიად სტურუას საგოლედ ვერ აუხტა

მცხეთა. 1 დეკემბერი. 13 საათი. არმაზი. 150 (ტევადობა 2 000)

## ვიტ ჯორჯია 5:2 ამერი

0:1 დავითაშვილი (39), 0:2 დავითნიძე (45), 1:2 გოჩაშვილი(45), 2:2, 3:2 ადამია (52, 71), 4:2 კობიაშვილი (81), 5:2 ქოქიაშვილი (90)

ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, პ.დათუნაიშვილი, კვახაძე, გოჩაშვილი, გველესიანი (კობიაშვილი 46), იმედაშვილი, დილმელაშვილი, ნოზაძე, მარცვალაძე, ადამია (სახოკია 89), ე. მერებაშვილი (ქოქიაშვილი 74)
მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

ამერი: ნაჭყებია, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ბერიანიძე, გარუჩავა, კაიდარაშვილი, სამსიანი, სილაგავა, სევასტოპულო (წინამძღვრიშვილი 78), დავითაშვილი
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

მსაჯები: მ. მალალურაძე; ზ. ჯვარიძე, მ. ელიკაშვილი; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი)

ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

# დაიჯერე და მოიგებ!

კობა ინასარიძე მცხეთიდან

გუშინ მცხეთაში 45 წუთი სენსაციის სუნი ტრიალებდა. საქართველოს ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ პირველლიგელი „ამერი“ სტუმრობდა და 45-ე წუთზე 2:0 ამარცხებდა... მერე არბიტრმა მერაბ მალალურაძემ ტაიმს ერთი წუთი წაამატა და მასპინძელთა სასარგებლოდ მეტისმეტად საეჭვო ჯარიმა დანიშნა: „ამერის“ კარიდან დაახლოებით 25 მეტრში სტუმარმა გარუჩავამ დილმელაშვილს წესების სრული დაცვით აართვა ბურთი, მსაჯმა კი, ალბათ, აქვე ტაიმსაც დავამთავრებო, თავისუფალი დანიშნა. მასპინძლებმა ამ ჯარიმის შემდეგ კუთხურის უფლება მოიპოვეს, იქიდან ჩაწოდებულს კი ვლადიმერ გოჩაშვილის პირველი საპასუხო გოლი მოჰყვა. თუმცა აქვე ვთქვათ, რომ ვიტელთა გამარჯვებაში მსაჯის წვლილზე მინიშნება სულაც არ გვსურს — ვეტერინარებს მოგება ეკუთვნოდათ.

როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი საქართველოს ჩემპიონის უპირატესობით დაიწყო. მასპინძლებს უკვე მეოთხე წუთზე შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ ადამიას მიზანმა ოდნავ უმტყუნა, შორიდან დარტყმული ძელმა აისხლიტა. „ვიტ ჯორჯია“ ამ მომენტის შემდეგ ოთხი-ხუთი წუთიც საკმაო უპირატესობას ფლობდა, რის მერეც თამაში გათანაბრდა.

გათანაბრდაო ვამბობთ, მაგრამ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, ტაიმის დარჩენილი დრო „ამერის“ მოკრძალებული კარნახით მიილიაო. სტუმრები მეტოქეს ფლანგებზე, მეტად კი მარჯვნიდან გაუშინაურდნენ და ხიფათის შექმნასაც იქიდან უფრო ცდილობდნენ. „ვიტ ჯორჯიას“ დამრიგებელმა მერაბ კოჭლაშვილმა საკმაოდ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო: ზორბა გოჩაშვილი ცენტრალურ მცველად ათამაშა, ფლანგელი ჰავბეკი დათუნაიშვილი კი დავითაშვილს პერსონალურ მეურვედ აჰკიდა.

კოჭლაშვილი გოჩაშვილის მცველად გამწესებისას აშკარად შეცდა, თუმც მეორე ჩანაფიქრმა გაუმართლა — დათუნაიშვილმა დავითაშვილი თამაშიდან გათიშა.

„ამერის“ პირველი გოლი შემთხვევითი კი იყო, მაგრამ კაცს ენა არ მოგიტრიალდება თქვა, ულოგიკოო: საკუთარი საჯარიმოდან „ვიტ ჯორჯიამ“ ვერაფრით შესძლო ბურთის მოგერიება, სტუმრები მასპინძლებს იქვე ეძგერნენ და გოჩაშვილს შეცდომაც დააშვებინეს — მცველის მოგერიებულს დავითაშვილმა ფეხი დააფარა, ბურთი მეკარეს გადაევლო და შორეულ კუთხეში ჩაეშვა.

გოლით შეგულიანებული „ამერი“ მეტი თავდაჯერებით ათამაშდა, მასპინძლებს სამოქმედო სივრცე შეუზღუდა და ერთი კარგი, მაგრამ გაცუდებული მომენტის შემდეგ ჩემპიონებს მეორეც გაუტანა: დავითაშვილის კუთხურს დავითნიძემ დაჰკრა მოხდენილი თავური და მამარდაშვილს შორეულ კუთხეში შეუგდო.

ეს იყო და, „ვიტ ჯორჯიამ“ ცენტრიდან რომ განაახლა თამაში, მალალურაძემ ჯარიმა დანიშნა, ჯარიმას კუთხური მოჰყვა, კუთხურს კი გოლი და იქვე ტაიმიც დამთავრდა.

ფსიქოლოგიური მომენტია: პირველლიგელი საქართველოს ჩემპიონს მისსავე, ყანასავით მოედანზე 2:0 ამარცხებს და ტაიმის ბოლო წამზე... ისე, მოედანი ვახსენეთ და აქვე ვთქვათ, რომ საქართველოს ჩემპიონის ასეთ მოედანზე თამაში, მეტი არ ვთქვათ, სირცხვილია.

შესვენების შემდეგ „ვიტ ჯორჯიამ“ მეტოქე აშკარად დაჯაბნა. სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ მოახერხეს კარში დარტყმა, ერთხელაც — კარისკენ.

შესვენებაზე კოჭლაშვილმა მარცხენაფლანგელ გველესიანს კობიაშვილი ამჯობინა, რომელმაც დაცვის ცენტრში გოჩაშვილი შეცვალა, თავად გოჩაშვილი კი მოედნის შუაში ტანმაღალ ამერელ გარუჩავას დაუპირისპირა.

მეორე საპასუხო „ვიტ ჯორჯიამ“ თამაშის განახლებიდან შვიდ წუთში გაიტანა. დაუღალავი ადამია „ამერის“ საჯარიმოს წინ უმეთვალყურეოდ დარჩა და ძლიერი დარტყმით გაათანაბრა.

თამაშიც თითქოს ისევ გათანაბრდა, სტუმრებმა კონტრშეტევის ერთიორი კარგი შანსი ვერ გამოიყენეს და ისევ ადამიასგან დაისაჯნენ, და ისევ იმ პოზიციიდან, საიდანაც მეორე გოლი მიიღეს — სტუმართა მცველებმა საკუთარი საჯარიმოს წინა სივრცე ვერაფრით შეავსეს.

3:2 და „ამერმა“ თითქოს რწმენა დაკარგა, თითქოს საქართველოს ჩემპიონის დამარცხება შეუძლებელი იყო. „ვიტ ჯორჯიამ“ კი პირიქით, შეტევებს და აგრესიას უმატა და მატჩის ბოლოსკენ, საპასუხო შეხვედრის წინ, სოლიდური ფორაც შეიქმნა: ჯერ იყო და, ამერელებმა საკუთარი კარის სიახლოვეს უმეთვალყურეოდ დატოვეს კობიაშვილი, რომელმაც თავურით მეოთხე გაიტანა, წამატებულ წუთზე კი იგივე პოზიციიდან, საიდანაც ადამიამ ორჯერ იხეირა, ქოქიაშვილმა მოჭრილი დარტყმით მეხუთე გაიტანა.

*გიორგი ჩიხრაძე*, „ამერის“ მწვრთნელი:

— ჩემპიონთან ჩვენი ძალის გადამოწმების კარგი საშუალება გვქონდა. სამწუხაროა, რომ მოგება შეგვეძლო, მაგრამ წავაგეთ. ფეხბურთელებმა, ეტყობა, ვერ დაიჯერეს, რომ საქართველოს ჩემპიონის დამარცხება შეეძლოთ. მარცხის მთავარი მიზეზიც ეს იყო. „ვიტ ჯორჯიამ“ კი დღეს ნამდვილად დამსახურებულად გაიმარჯვა.



ვაჟა კოთოლაშვილის ფოტო

დავით იმედაშვილმა გეგი გარუჩავა ზურგზე მოიგდო

ფოთი. 1 დეკემბერი. 13 საათი. ფაზისი

## კოლხეთი 0:0 ლოკომოტივი

# შალკე მსოფლიოში, კობი შალკეში და ორიც ქართველი



ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) ახალი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა. 2003 წლის 1 დეკემბრიდან 2004 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდის საერთო მაჩვენებლით მსოფლიოს 350 საუკეთესო კლუბს შორის თბილისის „დინამო“ 201-ე ადგილზეა. წინა თვის მაჩვენებელთან შედარებით „დინამომ“ 22 საფეხბურთო დაწინაურება შეძლო და ისეთ ცნობილ გუნდებს უსწრებს, „ბაზელი“, „ბოლტონი“, „ევერტონი“, „ბრონდბიუ“, „ჰამბურგი“, „დორტმუნდი“ და „მანჩესტერ სიტი“ რომ არიან.

მოულოდნელი და სასიამოვნო კი ისაა, რომ 350-ეულში მეორე ქართული კლუბიც მოხვდა — „თბილისი“ 346-ე ადგილზეა, რაც ახალბედა გუნდისთვის საკმაოდ კარგი მიღწევაა.

ქვემორე ცხრილში საუკეთესო ოცეულის გარდა ქართველი ლეგიონერების კლუბთა მონაცემსაც გაეცნობით. ბოლოს კი იმასაც გეტყვით, რომ 2004 წლის ნოემბრის მაჩვენებლით მსოფლიოში საუკეთესო ლევან კობიაშვილის „შალკე“ გახდა. გელზენკირხენელებმა ბოლოს როდის წააგეს, ალბათ არც ახსოვთ და გასახარია, რომ ამაში თავისი სიტყვა ჩვენებურსაც ეთქმის — კობიაშვილი „შალკეს“ ერთ-ერთი ლიდერია და ვფიქრობთ, ამით ახალი არაფერი გვითქვამს. მოკლედ, „კობი“ და „შალკე“ ნოემბრის ლაურეატები არიან.

ბაჩა შალამბერიძე

### მსოფლიოს 350 საუკეთესო კლუბი
2003 წლის 1 დეკემბერი - 2004 წლის 29 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (2) | ვალენსია (ესპანეთი) | 288,0 |
| 2 | (1) | მანჩესტერი (ინგლისი) | 281,0 |
| 3 | (7) | იუვენტუსი (იტალია) | 273,0 |
| 4 | (5) | რეალი (ესპანეთი) | 260,0 |
| 5 | (4) | მილანი (იტალია) | 253,0 |
| 6 | (10) | ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 252,0 |
| 7 | (3) | არსენალი (ინგლისი) | 251,0 |
| 8 | (7) | სან პაულუ (ბრაზილია) | 240,0 |
| | (9) | სანტოსი (ბრაზილია) | 240,0 |
| 10 | (11) | ჩელსი (ინგლისი) | 238,0 |
| 11 | (12) | ნიუკასლი (ინგლისი) | 237,0 |
| 12 | (6) | მონაკო (საფრანგეთი) | 236,0 |
| 13 | (15) | ბრიუგე (ბელგია) | 234,5 |
| 14 | (25) | ვერდერი (გერმანია) | 233,0 |
| 15 | (13) | პორტუ (პორტუგალია) | 227,5 |
| 16 | (14) | ინტერი (იტალია) | 225,0 |
| 17 | (17) | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | 221,0 |
| 18 | (16) | ბარსელონა (ესპანეთი) | 218,0 |
| | (20) | ლიონი (საფრანგეთი) | 218,0 |
| 20 | (19) | რივერ პლეიტი (არგენტინა) | 210,0 |
| 27 | (41) | შალკე (გერმანია) | 197,0 |
| 47 | (56) | რეინჯერსი (შოტლანდია) | 149,5 |
| 52 | (87) | დინამო (უკრაინა) | 141,5 |
| 95 | (104) | ვენტსპილსი (ლატვია) | 116,0 |
| 128 | (161) | სკონტო (ლატვია) | 103,0 |
| 130 | (152) | ცსკა (ბულგარეთი) | 102,5 |
| 168 | (111) | ლოკომოტივი (რუსეთი) | 90,5 |
| 182 | (174) | სეპაჰანი (ირანი) | 87,5 |
| 201 | (223) | დინამო (საქართველო) | 84,5 |
| 303 | (320) | მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) | 67,0 |
| 346 | (472) | თბილისი (საქართველო) | 60,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა





# მუტუს ადამსი მიხედავს

## ნარკომანს ლოთი უმკურნალებს

**იანვრიდან** ადრიან მუტუს ტონი ადამსი მიხედავს. ეს იმას ნიშნავს, რომ კოკაინის ყნოსვის ჩვევის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დაძლევაში ახალგამომცხვარ ნარკომანს, ალკოჰოლიზმის დამამარცხებელი, ფეხბურთის ერთ-ერთი ლეგენდარული ლოთი დაეხმარება. „არსენალის“ ყოფილ კაპიტანს დიდი გამოცდილება აქვს ამ საკითხში და ადრიანს სწორედ მისთვის უთხოვია გამოცდილების გაზიარება.

იანვარში მუტუ ორ კვირას გაატარებს „სპორტული შანსის“ განთქმულ კლინიკაში, სადაც მას ადამსიც გაუწევს ხოლმე ფსიქოლოგიურ კონსულტაციას. მუტუს სასჯელი 18 მაისს იწურება, მაგრამ ამგვარი რეაბილიტაციის გავლა მისთვის აუცილებელი ყოფილა, „სპორტული შანსის“ მკურნალთა დასკვნა გადამწყვეტი იქნება კარიერის განსაახლებლად. თავის დროზე, ეს კურსი გაუვლიათ განთქმულ ლოთ-კოკაინისტებს, პოლ მაკგრათს და პოლ მერსონსაც.

თავად მუტუ ამბობს, რომ კოკაინი სულ 4-5-ჯერ დაყნოსა, რათა ოჯახური პრობლემები დაევიწყებინა. ტონი ადამსი კი ახლა 38 წლისაა და ორი კვირის წინ „უიკომბის“ მენეჯერობიდან გადადგა, რათა სპორტის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად მეტი იმუშაოს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ლივერპულს ბერბატოვი მოუნდა

## კიევის დინამოს შემდეგ ვილაპარაკოთ

*„ლივერპულის“ უსუსტესი წერტილი ამ დროისთვის თავდასხმაა და კლუბმა ბულგარელი ფორვარდის, დიმიტარ ბერბატოვის შეძენა განიზრახა*



**მერსისაიდელთა** ფრანგი შემტევი ჯიბრილ სისე ისეა დაშავებული, ამ სეზონში თამაშს ვერ შეძლებს, დაშავებულია ჩეხი მილან ბაროშიც, ხოლო ჭაბუკი ნილ მელორი ინგლისური პრემიერლიგის დონეს ჯერ ნაკლებად აკმაყოფილებს. ჰოდა, „ლივერპულის“ ესპანელმა მწვრთნელმა, რაფაელ ბენიტესმა განაცხადა, ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა რომ გაიხსნება, ბერბატოვი უნდა დავიმატოთო.

23 წლის ბერბატოვი ახლა „ლევერკუზენში“ თამაშობს და თუ ლევერკუზენელები ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიდან გავლენ, მას არ შეელევიან — ასეთია გერმანული კლუბის პოზიცია. გარდა ამისა, „ლევერკუზენი“ ბერბატოვს 2009 წლამდე სთავაზობს კონტრაქტის გაგრძელებას.

„ლივერპულის“ ჩემი კლიენტით დაინტერესება გუშინდელი ამბავი როდია, მაგრამ „ლევერკუზენს“ ამის შესახებ ჩემთვის არაფერი არ უცნობებია. ჩემპიონთა ლიგის მომდევნო მატჩი „ლევერკუზენს“ კიევის „დინამოსთან“ აქვს და ამ შეხვედრის შემდეგ დაველაპარაკები „ლევერკუზენის“ მესვეურებს ჩემი კლიენტის მომავალზე“ — უთქვამს ბერბატოვის აგენტ ემილ დანჩევს.

და რა სურს ბერბატოვს, „ლევერკუზენი“ თუ „ლივერპული“? ფეხბურთელი ამაზე საუბარს გაურბის და ოდენ ეს თქვა: „ჩემს აგენტს ვთხოვე, შესაძლო ტრანსფერზე არაფერი არ მელაპარაკოს. ახლა ყველაზე უფრო ის მინდა, რომ „ლევერკუზენის“ მატჩებისთვის ვიყო კონცენტრირებული“.

**დავით თავართქილაძე**



# მდიდართა სიები

**დევიდ ბექემი** კვლავაც სათავეში უდგას ბრიტანეთის უმდიდრეს ფეხბურთელთა სიას, თუმცა საფეხბურთო მოღვაწეთა საერთო სიაში მხოლოდ ორმოცდამეერთეა, ეს მონაცემები ჟურნალმა „ფორ ფორ თუმ“ გამოაქვეყნა.

ბექემს 65 მილიონი გირვანქა აქვს, თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე მეორე ადგილზე მყოფ დენის ბერხკამპს (37 მილიონი). საერთო ცხრილს კი რომან აბრამოვიჩი პირველობს თავისი შვიდნახევარმ მილიარდი გირვანქით. მას მისდევს „ტოტნეჰემის“ მეპატრონე, კომპანიის მთავარი ინვესტორი, ბარბადოსელი ჯო ლუისი, რომელსაც 1,8 მილიარდი ჰქონია. ირლანდიელი ინვესტორი დერმოტ დესმონდი, „სელტიკის“ მთავარმეწილე, თავისი 850 მილიონით მესამეა. ფეხბურთელთა შორის მესამე მაიკლ ოუენია, მეოთხე კი, არ გაგიკვირდეთ და, რობი ფაულერი, რომელიც წარმატებულად საქმიანობს უძრავი ქონების ბიზნესში.

მენეჯერთა შორის ყველაზე მდიდარი სერ ალექს ფერგიუსონია (15 მილიონი). მას მოსდევს ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი, ამათ კი კევინ კიგანი და არსენ ვენგერი.

**ირაკლი გამყრელიძე**

ფეხბურთელები (მილიონ გირვანქა)

| | |
|---|---|
| 1 დევიდ ბექემი | 65 |
| 2 დენის ბერხკამპი | 37 |
| 3 მაიკლ ოუენი | 30 |
| 4 რობი ფაულერი | 28 |
| 5 ალან შირერი | 22 |
| 6 სოლ კემპბელი | 20 |
| 7 რიო ფერდინანდი | 20 |
| 8 რაიან გიგზი | 20 |
| 9 როი კინი | 20 |
| 10 ტიერი ანრი | 18 |

მენეჯერები

| | |
|---|---|
| 1 ალექს ფერგიუსონი | 15 |
| 2 სვენ გორან ერიკსონი | 10 |
| 3 კევინ კიგანი | 7 |
| 4 არსენ ვენგერი | 7 |
| 5 დევიდ ოლირი | 7 |



# თქვენი იყოს, წაიღეთ

## ასაუერმა იჩივლა და ჰიონესმაც დაუთმო

**გელზენკირხენული** „შალკეს“ გენერალურმა მენეჯერმა რუდი ასაუერმა ქვეყანა შეძრა, აქაოდა, მიუნხენის „ბაიერნი“ ტელემონოპოლიას ცდილობსო. საქმე ისაა, რომ ბუნდესლიგის მატჩები საზოგადოებრივ უფასო არხ ARD-ზე გადაიცემა პირდაპირ ეთერში და ARD-ც მეტწილად „ბაიერნის“ მატჩებს აჩვენებს.

როგორც წესი, „ბაიერნის“ მიმართ ბრალდებებზე თუ კბენებზე ბავარიული კლუბის მენეჯერი ული ჰიონესი პასუხობს. ჰერ ჰიონესმა თქვა, ჩვენ სულაც წინააღმდეგი ვართ იმის, რომ ჩვენი საშინაო მატჩები პირდაპირი რეპორტაჟით გადაიცეს, რადგან ვაითუ, სტადიონზე ბევრი ხალხი არ მოვიდეს, და ამისთვის კბილით და ფრჩხილით ვიბრძოდითო.

არ იქნებოდა, ჰიონესს „შალკეზეც“ არ ეთქვა: „შალკეს“ იმდენჯერ რომ მოეპოვებინა ჩემპიონობა, რამდენჯერაც ჩვენ, ტელევიზია ხალხს „შალკეს“ თამაშებს აჩვენებდა“.

თუმც ასაუერმა ბოლომდე იბრძოლა — ზამთრის შესვენების შემდეგ პირველ ტურში ARD „შალკეს“ და „ვერდერის“ რკენას აჩვენებს.

**დავით თავართქილაძე**





## ინგლისი

### ჩემპიონატი გადადებული მატჩი

**ძრიუ 2:1 მილუოლი**

1:0 ეშმტონი (1), 1:1 აიფილი (71), 2:1 ბერნი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იფსვიჩი | 21 | 12 | 6 | 3 | 40:23 | 42 |
| უიგანი | 21 | 11 | 8 | 2 | 36:15 | 41 |
| სანდერლენდი | 21 | 12 | 4 | 5 | 29:15 | 40 |
| რედინგი | 21 | 11 | 5 | 5 | 29:18 | 38 |
| ქუინზ პარკი | 21 | 11 | 3 | 7 | 31:29 | 36 |
| ვესტ ჰემი | 21 | 10 | 4 | 7 | 26:24 | 34 |
| შეფილდი | 21 | 8 | 8 | 5 | 26:27 | 32 |
| ბარნლი | 21 | 7 | 9 | 5 | 18:18 | 30 |
| დერბი | 21 | 8 | 5 | 8 | 29:28 | 29 |
| მილუოლი | 20 | 8 | 5 | 7 | 19:18 | 29 |
| პრესტონი | 21 | 8 | 5 | 8 | 28:28 | 29 |
| უოტფორდი | 21 | 6 | 10 | 5 | 28:23 | 28 |
| ლესტერი | 21 | 6 | 10 | 5 | 24:20 | 28 |
| სტოკი | 21 | 7 | 7 | 7 | 15:17 | 28 |
| ქრიუ | 21 | 8 | 4 | 9 | 37:40 | 28 |
| პლიმუთი | 21 | 7 | 5 | 9 | 27:28 | 26 |
| ლიდსი | 21 | 6 | 7 | 8 | 24:21 | 25 |
| ქოვენთრი | 21 | 6 | 7 | 8 | 26:33 | 25 |
| ვულვზი | 20 | 6 | 6 | 8 | 26:28 | 24 |
| ბრაიტონი | 21 | 6 | 4 | 11 | 16:29 | 22 |
| კარდიფი | 21 | 4 | 7 | 10 | 21:28 | 19 |
| ჯილინგემი | 21 | 5 | 3 | 13 | 18:37 | 18 |
| ნოტინგემი | 21 | 3 | 8 | 10 | 20:30 | 17 |
| როტერჰემი | 21 | 1 | 8 | 12 | 13:29 | 11 |

### ლიგის თასი. 1/4 ფინალი

**ფულემი 1:2 ჩელსი**

0:1 დაფი (55), 1:1 მაკბრაიდი (74), 1:2 ლამპარდი (88)

**უოტფორდი 3:0 პორტსმუთი**

1:0, 2:0 ჰელგუსონი (24, 57), 3:0 ბ. დაიერი (61)

# რას არ ამბობენ...

## პრესამ იუვენტუსს იანკულოვსკი და ტადეი გამოუჩხრიკა






როდრიგო ტადეი და მარეკ იანკულოვსკი იანვარში, სავარაუდოდ, „იუვენტუსში“ გადავლენ

**ხომ ძლიერია** „იუვენტუსი“, მაგრამ მის ბოსებს გუნდის უფრო გაძლიერება ამოუჭრიათ გულში. ჰოდა, ამბობენ, საახალწლოდ ტურინელები უდინელ მარეკ იანკულოვსკის და სიენელ როდრიგო ტადეის გადაიბირებენო.

ოფიციალურად კი „იუვენტუსში“ აცხადებენ, რომ გუნდი ამ ეტაპზე დაკომპლექტებულია და მომდევნო სეზონამდე ვინმეს ყიდვას არ აპირებენ, მაგრამ იტალიური მედია საპირისპიროს ამტკიცებს და აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მედიას უფრო რომ უნდა ვენდოთ, ვიდრე კლუბის წარმომადგენლებს.

მოდით, ისიც გავითვალისწინოთ, რომ, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია, რომელიმე ფეხბურთელმა უარი თქვას, როცა რომელიღაც პატარა კლუბში თამაშობს და მას „იუვე“ ეპატიჟება.

„უდინეზეს“ ჩეხმა იანკულოვსკიმ კი უკვე თქვა, ტურინელებს ჩემი წაყვანა ჯერ კიდევ ზაფხულში სურდათ, არ გამოუვიდათ და საახალწლოდ, ვინძლო, მათი მთავარი სამიზნე გავხდეო.

იანკულოვსკის ტურინში გადაბარგების ალბათობაზე ლაპარაკობენ უდინეშიც: „ვერ უარვყოფთ ფაქტს, რომ ჩვენს რამდენიმე ფეხბურთელს ჩვენზე დიდ კლუბებში გადასვლის შანსი აქვთ. ამ ფეხბურთელებს შორის არის იანკულოვსკიც და თუ მის ტრანსფერზე სერიოზულ წინადადებას მივიღებთ, ფეხბურთელს კარიერის სხვაგან გაგრძელებაში ხელს არ შევუშლით“ — თქვა „უდინეზეს“ მეპატრონემ ჯამპაოლო პოცომ.

იგივეს თქმა შეიძლება ტადეიზეც, რომელსაც „სიენასთან“ კონტრაქტის ვადა სეზონის ბოლოს გასდის, მაგრამ ტოსკანელებმა გუშინწინ გამოაცხადეს, რომ მზად არიან, ბრაზილიელი იანვარშივე გაყიდონ.

ითქვა პირობებზეც: „იუვენტუსი“ „სიენას“ შემტევი ნახევარმცველის სანაცვლოდ ფულს და მარკ იულიანოს სთავაზობს.

იმასაც ამბობენ, „იუვენტუსს“ შესაძლოა კოვზი ნაცარში ჩაუვარდეს, რაკი ტადეითი „რომაც“ არის დაინტერესებულიო. როგორც ჟურნალისტებმა გამოჩხრიკეს, „სიენას“ რომაელებიც ფულს და ერთ ფეხბურთელს სთავაზობენ, ოღონდ რომელ ფეხბურთელს და რამდენ ფულს, ჯერჯერობით საიდუმლოა.

ბარემ აქვე ვთქვათ სხვა სატრანსფერო ვარიანტის შესახებაც. „ინტერს“ რომაელი ოლივიე დაკურის გადაბირებას ლამობს და სანაცვლოდ კილი გონსალესსა და კრისტიანო ძანეტის იძლევა.

**ირაკლი ნინიძე**

# დიუფის ფურჭყაობა გამოსაკვლევია



**პრემიერლიგის** ბოლო ტურში „ბოლტონმა“ შინ „პორტსმუთთან“ 0:1 წააგო და მასპინძელთა სენეგალელმა ფორვარდმა ელ-ჰაჯი დიუფმა გოლის გამტან არიენ დე ზეუვს შეაფურთხა. გუშინ კი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ამ საქციელისთვის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდა ბოლტონელს.

კლუბმა კი 23 წლის სენეგალელი ორი კვირის ხელფასის მოჭრით დააჯარიმა. „ბოლტონის“ მწვრთნელმა სემ ალარდაისმა თქვა: „ელ-ჰაჯი მომხდარს ინანიებს, ჩვენ კი ძალიან ვწუხვრთ მისი ულირსი საქციელის გამო. მან ბოდიში მოიხადა და დაისაჯა კიდეც. კლუბი ამ ფეხბურთელის პრობლემებს კვლავაც განიხილავს და ამაში მთელი გუნდის დახმარებაც დაგვჭირდება.“

დიუფი რომ იფურთხება, ეს მართლაც პრობლემაა. შარშან მარტში, უეფას თასის თამაშზე დიუფმა მოწინააღმდეგე გუნდის, „სელტიკის“ ფანს შეაფურთხა — გლაზგოს სასამართლომ სენეგალელი 5 000 გირვანქით (9 430 დოლარი) დააჯარიმა. კლივლენდის პოლიცია კი წლეულს მომხდარ ფაქტს იძიებს — დიუფს მიდლსბროელი ფანისთვისაც შეუფურთხებია.

**დავით თავართქილაძე**

# სიცილიას ნუ ეხუმრები, ჟოზე!

## მაურინიუმ პალერმოში მტრები გაიჩინა

*ადამიანს კბილები იმისთვის რომ აქვს, ენას კლიტედ დაადოს, ჟოზე მაურინიუს ამბავმაც დაადასტურა.*

***ჟურნალ „ესპრესოს“ ჟურნალისტმა „ჩელსის“ მენეჯერს ამასწინათ ჰკითხა, პორტუში ჩასვლის წინ რას გრძნობთო. მოგეხსენებათ, მაურინიუმ გაზაფხულზე, „ჩელსიში“ გადასვლამდე, პორტუელებს ჩემპიონთა თასი მოაგებინა***




„მესინა“ — „პალერმო“ მადრიდულმა AS-მა მაფიოზთა მატჩად მონათლა






ჟოზე მაურინიუ მაურიციო ძამპარინიმ პალერმოში დაპატიჟა

ჟურნალისტის კითხვაზე მაურინიუმ უპასუხა, რომ პორტუში ჩასულს მას უთუოდ დასჭირდება ხუთიოდე კუნთმაგარი ბოდიგარდი, რაკილა პორტუში ჩასვლა სიცილიაზე ჩასვლის ტოლფასია, სადაც პირადი მცველების გარეშე პატიოსან კაცს ყაჩაღები არ მოასვენებენო.

მაურინიუს ამ კომენტარზე პორტუელებს არაფერი უთქვამთ, აი, სიცილიელებმა კი ხმა აიმაღლეს და მთელი კუნძული იმაზე ლაპარაკობს, როგორ გაბედა ასეთი მტკნარი სიცრუის თქმა მაგ უზნეომო.

დღეს სიცილიას მთავარ იტალიურ სერიაში ორი გუნდი ჰყავს, „პალერმო“ და „მესინა“. პალერმოელთა კლუბის მწვრთნელმა ფრანჩესკო გვიდოლინიმ კი მაურინიოზე აღშფოთებულმა თქვა: „ზოგ ადამიანს ჰგონია, რომ ყველაფერი იცის და რაც ენაზე მოადგება, უნდა თქვას. ასეთებმა სინამდვილეში არაფერი იციან და ურჩევნიათ, ენას კბილი დააჭირონ.“

„პალერმოს“ კაპიტანმა ეუჯენიო კორინიმ კი ოცნება: „იმედი მაქვს, გაისად ჩემპიონთა ლიგაში მოვხვდებით, ჯგუფში მეტოქედ „ჩელსი“ გვერგება და მაშინ გავახსენებთ მაურინიუს ამ სიტყვებს. შავ დღეს დავაყრით, ოღონდ, რა თქმა უნდა, მოედანზე.“

ისე, „პალერმო“, რომელსაც სერია A-ში 30 წელი არ უთამაშია, ახლა მეხუთე ადგილზეა და ვინ იცის, ეგებ კაპიტნის ოცნებას ახდენაც ეწეროს.

კლუბის პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ კი მაურინიუს სიცილიაში ჩასვლა შესთავაზა: „მაურინიუს შეუძლია ჩამოვიდეს, გუნდიც ჩამოიყვანოს და შეგვხვდეს. თუ მართლა აინტერესებს, ხალხი აქ ბოდიგარდებით დადის თუ არა, ეს შემოწმების საუკეთესო გზა იქნება. ისე კი ვურჩევ, რამეს რომ იტყვის, ჯერ შეამოწმოს-ხოლმე.“

სხვათა შორის, ამ ბოლო დროს, მეორედ მოხდა, რომ პრესაში სიცილიაზე ამგვარი რამ დაიწერა. ესპანურმა AS-მა სერია A-ში სიცილიური დერბიზე, რომელსაც ხალხი 40 წელი ელოდა, დაწერა, მაფიოზების თამაში იყოო.

**ირაკლი ნინიძე**

სარბიელი
სამუშაოდ
იწვევს
გაზეთში ნამუშევარ
დამკაბადონებელს
მიღება მოხდება
შერჩევით
მსურველებმა
მოგვაკითხეთ
„სარბიელის“ რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული,
15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის
დარეკეთ
39-48-29, 39- 40-08




# ჯილარდინო დებიუტს შაბათს გაიმეორებს

## მილანმა დორასო გადაიფიქრა

იტალიის ჩემპიონმა „მილანმა“ გუშინ გამოაცხადა, რომ ვიკაშ დორასოს გაყიდვას არ აპირებს. „ჩვენ არასდროს გვისაუბრია ამ საკითხზე, იმ მიზეზით, რომ დორასოს გაყიდვა არასდროს გვიფიქრია“ — წერია კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

31 წლის დორასო იტალიელებმა წინა ზაფხულს „ლიონიდან“ წაიყვანეს, მას მერე, რაც ფეხბურთელს საფრანგეთის ჩემპიონთან კონტრაქტის ვადა გაუვიდა.

მაგრამ, რაკი მილანურმა კლუბმა საჭიროდ ჩათვალა ასეთი განცხადების გაკეთება, ესე იგი, დორასოს გასხვისებაზე, თუნდაც ჭორის დონეზე, ლაპარაკი იყო. პორტუგალიურმა „ბენფიკამ“ დაადასტურა კიდეც დორასოს გადაბირების სურვილი. ბენფიკელებმა ისიც აღიარეს, ფეხბურთელს სექტემბრის აქეთ ვაკვირდებით და ეგებ სეზონის ბოლომდე მაინც შევძლოთ მისი იჯარით წაყვანაო.

ამ საქმის მოთავე კი დონ ჯოვანი ტრაპატონია, „ბენფიკას“ ახლანდელი მწვრთნელი და ფრიად ავტორიტეტიანი კაცი იტალიურ ფეხბურთში.

დორასოს გაპორტუგალიელება ეგებ გაჩარხულიყო კიდეც, მაგრამ ბოლო ორი-სამი კვირაა, ისე ათამაშდა, მილანელებს მისი მოშორების სურვილი თუ ჰქონდათ კიდეც, რა გასაკვირია, რომ გადაიფიქრებდნენ.

საერთოდ კი, „მილანი“ ის კლუბია, რომელიც თავად ყიდულობს, სადმე კარგი ფეხბურთელი თუ შეიგულა. მაგალითად, პარმელი ალბერტო ჯილარდინო.

ფეხბურთელი ამბობს: „ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როცა ასეთი დიდი კლუბი გიწვევს, შეუძლებელია სიამაყე არ იგრძნო. მაგრამ მეორე მხრივ, საშობაო არდადეგებისას სულაც არ მინდა კლუბის გამოცვლა, რადგან „პარმაში“ ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი.“

ისიც ვთქვათ, რომ უახლოეს ტურში „მილანი“ და „პარმა“ სწორედ ერთმანეთს ხვდებიან და ეს მატჩი ჯილარდინოსთვის სხვა რამითაც იქნება გამორჩეული — მისი სადებიუტო მატჩი სერია A-ში სწორედ „მილანთან“ თამაშისას შედგა.

— „მილანის“ წინააღმდეგ თამაში ჩემთვის ყოველთვის გამორჩეულია, რადგან არასდროს დამავიწყდება ის გრძნობა, რომელიც მაშინ მქონდა — თქვა „სკუადრა აძურას“ თავდამსხმელმა.

**ირაკლი ნინიძე**

# შვიდი მილიონი და კომპანი თქვენია

## ინტერი კემპბელზეც ოცნებობს

**სეზონის** დაწყებიდან მილანის „ინტერმა“ ცამეტ შეხვედრაში 22 გოლი გაუშვა, რაც მისებრ თავმოყვარე გუნდისთვის მეტისმეტად ბევრია. აქედან დასკვნა: გუნდს აუცილებლად სჭირდება ახალი ცენტრალური მცველი, რომელიც დაცვის ხაზს დაალაგებს.

პრობლემა კი მილანელებს მას მერე წარმოექმნათ, რაც ამ ზაფხულს ფაბიო კანავარო „იუვენტუსს“ მიჰყიდეს, ახალწვეულები, ნიკოლა ბურდისო და სინიშა მიხაილოვიჩი კი კანავაროს არყოფნაში სამუშაოს ვერ აუდიან.

ბუნებრივია, რომ როცა ახალი მცველის მოყვანაზე გაისმის ხმები, იქვე კანდიდატებსაც ასახელებენ. „ინტერში“ გადასვლას ვენსან კომპანის და სოლ კემპბელს უქადიან.

სხვათა შორის, თავად კემპბელიც ამბობს, „ინტერის“ მოსურნეთა სიაში მგონი პირველ ადგილზე ვწერივარო. ოღონდ აქ ერთი ამბავიც არის გასათვალისწინებელი: კემპბელს „არსენალთან“ კონტრაქტის ვადა ზაფხულში გასდის და „მეთოფენიც“ დიდად დაინტერესებულები არიან მისი გაგრძელებით. და რაკი ასეა, იტალიელები, სავარაუდოდ, კომპანის ვარიანტზე უფრო გულდასმით იმუშავებენ — „ანდერლეხტიდან“ ფეხბურთელის წაყვანა უფრო იოლია, ვიდრე „არსენალიდან“.

ყმაწვილი ბელგიელი დღეს ევროპის მაღალრეიტინგიან ფეხბურთელთა შორისაა და მას ბრიუსელში დიდხანს რომ აღარ გააჩერებენ, მისივე აგენტიც ადასტურებს.

„ანდერლეხტისთვის“ ჩემპიონთა ლიგა ძალიან ცუდად დამთავრა და თუ ვინმე ჩემს კლიენტში კლუბს შვიდ მილიონ გირვანქას შესთავაზებს, ვფიქრობ, გარიგება შედგება“ — თქვა ფეხბურთელის აგენტმა.

ამათ გარდა „ინტერი“ საახალწლოდ ბენფიკელ ლუიზაოს და მადრიდის ატლეტიკოელ პაბლო იბანესს უმიზნებს. იმასაც ამბობენ, „ინტერი“ „ლაციოს“ მასიმო ოდოს სანაცვლოდ ჟოზე ზე მარიას სთავაზობსო.

**ირაკლი ნინიძე**




სოლ კემპბელი



ვენსან კომპანი




# ფინალს ფასი დაადეს: 20-150 €

## სტამბოლის სტადიონი დააპატარავეს

გუშინ სტამბოლში საგანგებო სხდომა გაიმართა და სჯა-ბაასის თემა ასეთი იყო — ჩემპიონთა ლიგის ფინალური შეხვედრის საორგანიზაციო დეტალები და ბრძოლა საფეხბურთო მატჩებზე ძალადობის წინააღმდეგ.

ჩემპიონთა ლიგის ფინალი 25 მაისს სწორედ სტამბოლში გაიმართება. ამას წინათ კი ბეშიქთაშის სტადიონზე 16 წლის ბიჭი დაიღუპა ჩხუბში. ჰოდა, გუშინდელ შეხვედრაზე უეფას თურქმა ვიცე-პრეზიდენტმა სენეს ერზიკმა ძალადობის პრობლემა ყბად იღო: „ყველა, ვინც კი თურქულ ფეხბურთშია დასაქმებული, ერთმანეთს უნდა დაეხმაროს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში“. ამავე სხდომას, ცხადია, ესწრებოდა თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევანტ ბიჩექჩი, რომელმაც უეფას დიდმოხელეებს აღუთქვა, ჩემპიონთა ლიგის ფინალს საუკეთესოდ ჩავატარებთო.

ფინალის ბილეთის ფასი 20-დან 150 ევრომდე იქნება. სტამბოლის სტადიონი 80 000 კაცს იტევს, მაგრამ ფინალს ოდენ 69 000 მაყურებელი ეყოლება — ტევადობის შემცირების მიზეზი ჯერ უცნობია. სამაგიეროდ, ცხადია ის, რომ 20 000 ბილეთი ფინალის მონაწილე კლუბებზე განაწილდება, 7 200 უცხოელი მაყურებლებისთვის, ამდენივე ბილეთი გაიყიდება თურქი ქომაგებისთვის, ხოლო უეფა 14 000 ბილეთს დაიბევებს. დანარჩენი ბილეთები ვის მიეყიდება, ჯერ ესეც გაურკვეველია.

**დავით თავართქილაძე**

# კაკა მსოფლიოს კაკას [illegible]

*22 წლისა მსოფლიოს ჩემპიონი რომ იქნები და იტალიაში სერია ე-საც მოიგებ, უკვე საკალმო ამბავია. კაკამ გასულ სეზონში იბრძოლა და დაამტკიცა, რომ „მილანის" ძირითადი შემადგენლობის ღირსია. ის მხოლოდ იტალიის ჩემპიონი კი არა, ბრაზილიის ახალი ნაკრების სახეა, რომელიც მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ფავორიტად ითვლება*



ევროპულ კლუბებში გამგზავრებული ლათინოსებიდან უმეტესობას იტალიურ ფეხბურთთან შეგუება უჭირთ, მაგრამ კაკა სხვა შემთხვევაა. ის უცბად შეერწყა მთავარ სერიას და გასულ სეზონში ათი გოლიც გაიტანა. გოლების გარდა კი თანაგუნდელებს საგოლე პასებით დაეხმარა. „სან პაულუს" ყოფილი მოთამაშე იტალიაში უცბად ალზევდა, მაგრამ კაკამ აღიარა, რომ ეს სეზონი მისთვის ურთულესი გამოდგა. „გაცილებით რთული წელი იყო, ვიდრე შარშან, რადგან იქაურმა მეტოქეებმა გამიცნეს და მეტი გულდაგულობით მეთამაშებოდნენ, თუმც განვლილი ორი სეზონიც არ ყოფილა იოლი. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ახალგაზრდა ვარ და ბევრი რამ მაქვს სასწავლი, მაგრამ სწრაფად უნდა მესწავლა. როცა საქმე კარგად მიდის, მედია გაქებს, თუმც როგორც კი ფეხი წაგიცდება, კრიტიკას არ დაგაკლებენ. ეს უკვე გავითვალისწინე."

მედიისგან შეფასებულმა კაკამ სერია A-ს მწვრთნელები ცალკე გამოარჩა: „იტალიაში მწვრთნელი ძალიან ყურადღებიანია და ყოველ წვრილმანს აკვირდება. ისინი თითოეულ დეტალს ზედმიწევნით სწავლობენ და აანალიზებენ. ამ მხრივ იტალია სამხრეთ ამერიკისგან ძალიან განსხვავდება. აქაური მწვრთნელები ფეხბურთელის ავანჩავანს სწავლობენ და მათ შესახებ ყველაფერი იციან. ამის გამო გასულ სეზონში ბევრი მწვრთნელის თვალთახედვის არეში მოვექცი და, დარწმუნებული ვარ, არაერთი [illegible] მოთამაშის [illegible]".

ამ დღეებში „მილანის" ბრაზილიელი ლეგიონერი კაკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველაზე ახალგაზრდა ელჩი გახდა. მისი ელჩობით მსოფლიოში სიღარიბის დაძლევის პროგრამა განხორციელდება. „ჩემთვის ეს მისია დიდად სასიამოვნოა. ფეხბურთმა ბევრი რამ მომცა და ახლა მსურს, რომ სიღარიბის დასაძლევად თავად ვიბრძოლო. ვფიქრობ, ყველა ფეხბურთელი ერთგვარი ელჩია, ჩვენი თამაში ყველაზე პოპულარულია მსოფლიოში. ნებისმიერ საზღვარს უპრობლემოდ გადალახავს და არაერთი ქვეყნის ადამიანებს დაახლოვებს".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ცხენის ფეხბურთი

## ადრიანო ყვითელს უმიზნებს

*მილანის „ინტერის" ფორვარდი ადრიანო კარლოს ალბერტო პარეირამ ცხენს შეადარა, მაგრამ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელამდე ადრიანოს „ფლამენგოშიც" და შემდეგ „პარმაშიც" ცხენს ადარებდნენ.*

*22 წლის მეგოლემ ამ სეზონში გამართულ ჩემპიონთა ლიგისა თუ სერია A-ს მატჩებში 17 გოლი მიითვალა. მათ შორის უმეტესობა მისი ჯანით იყო შექმნილი*



მილანის „ინტერის" ფანებს გუნდიდან რონალდოს წასვლა ეწყინათ, მაგრამ ადრიანომ ქომაგებს ურონალდოობა დაავიწყა.

„ინტერი" საყოველთაოდ ცნობილია იმით, რომ ყოველი სეზონის წინ მაღალი კლასის ბევრ ფეხბურთელს ყიდულობს და ამ საქმიდან გუნდი მაინც არ გამოდის. თავიდან ადრიანოც უილბლო ტრანსფერის ნაწილად ჩათვალეს.

ადრიანომ თამაში რიო დე ჟანეიროს მახლობლად, კლუბ „ვილა კრუზეიროში" დაიწყო. მამა ალმირ რიბეირო საოფისე საქმით იყო დაკავებული, დედა როსილდა კი 17-ის გახლდათ მომავალი ფეხბურთელი რომ გააჩინა. „ჩემი მშობლები პურის ფულს ძლივს შოულობდნენ და ცხოვრება ასეთ გაჭირვებაში გავატარე" — გაიხსენა ადრიანომ.

შვიდი წლისა ფეხბურთს თამაშობდა, ზოგიერთი მისი თანაგუნდელი კი ნარკოტიკს ეძალებოდა. ბიჭს უნდა აერჩია და მან ფეხბურთი ამჯობინა. 10 წლის იყო ადრიანო, მამამისს ქუჩაში ბანდიტთა ნასროლი ტყვია თავში რომ მოხვდა, მაგრამ ის ტყვია თავშივე დარჩა და ალმირ რიბეირო გადარჩა. სამწუხაროდ, ადრიანოს მამა რამდენიმე თვის წინ, ზაფხულში გარდაიცვალა.

ადრიანო ფეხბურთის სათამაშოდ „ფლამენგოში" გადავიდა. კლუბი სახლიდან მოშორებით იყო და ყმაწვილკაცს ყოველთვის არ ჰქონდა ვარჯიშზე სასიარულო ფული. „ფლამენგოს" ცეცხლ-ქომაგებს ადრიანოს სიმძიმე და მოუქნელობა არ მოსწონდათ, მაგრამ ბრაზილიის ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა, ემერსონ ლეაომ ახალგაზრდა, 18 წლის ფორვარდი ეროვნულ გუნდში მიიწვია, ეს 2000 წლის 18 ნოემბერს მოხდა.

2001-ში ადრიანო „ინტერში" გადავიდა და იმ ფეხბურთელთა სიაში გაერია, რომლებიც მილანურ კლუბში ადგილს მალევე ვერ იმკვიდრებენ, თუმც კი სეზონის წინ მადრიდის „რეალთან" ამხანაგურ მატჩში შორიდან კარგად შესრულებული საჯარიმო დარტყმით და გოლით გულშემატკივრებს თავი დაამახსოვრა.

მიუხედავად ამისა, ვარსკვლავებით დახუნძლულმა „ინტერმა" ადრიანო ფლორენციის „ფიორენტინაში" გაანათხოვრა. „ფიორენტინა" სერია A-ში დასარჩენად იბრძოდა. ადრიანო კი ფლორენციელებს 15 მატჩში ექვსი გატანილი გოლით დაეხმარა. ასეთმა შედეგმა ინტერელთა გული მაინც ვერ მოალბო და ადრიანო „პარმაში" გაამგზავრეს. პარმელთა შეტევის სულგულმა ადრიან მუტუსთან ერთად შესანიშნავი ფეხბურთი აჩვენა და 15 გოლი მიითვალა. ამის შემდეგ „პარმას" ფინანსურად გაუჭირდა. ადრიან მუტუ ლონდონის „ჩელსიში" წავიდა, ადრიანო კი „ინტერს" დუბრუნდა.

გასულ ზაფხულს კოპა ამერიკაზე ბრაზილიელმა კარლოს ალბერტო პარეირა გადარია. თითქმის ყველა მატჩში გაიტანა, შვიდი გოლით ბომბარდირი გახდა და მილანის „ინტერის" პატივისცემაც დაიმსახურა.

ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ეტაპის დაწყებიდან ადრიანო „შავ-ლურჯთა" უცვლელი ფორვარდია და გოლის ალღო არ დაუკარგავს, მაგრამ კარლოს ალბერტო პარეირა, მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მაინც რონალდინიო-რონალდოს ნაცად წყვილს ენდობა. ამიტომაც ამბობს ადრიანო: „ჯერ ახალგაზრდა ვარ და მიხარია, რომ პარეირას ნაკრების კანდიდატი ვარ. ეროვნული გუნდის ყვითელი მაისურა ჩემი მთავარი სამიზნეა და მჯერა, უეჭველად დამიძახებენ".

**ვაჟა ხუციშვილი**



# არ ათამაშებდნენ და არც გაუშვეს

## მარტინ დემიკელისი: რიტმი კუნთი არ არის, მას ვერ გაავარჯიშებ

*23 წლის მარტინ დემიკელისი მიუნხენის „ბაიერნის" სასტარტოში იშვიათად ხვდება. ამიტომაც მისი ყიდვა სხვა კლუბებმა მოისურვეს და თითქოს ტრანსფერს წინ არაფერი ედგა, მაგრამ „ბაიერნმა" ახლახან ოფიციალურად განაცხადა, რომ არგენტინელს არ გაასხვისებს. ეს ინტერვიუ კი დემიკელისთან „ბაიერნის" ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა*

— „ბაიერნმა" სეზონი ლიგის თასის მოგებით დაიწყო, თუმც ბუნდესლიგის სტარტი შთამბეჭდავი არ გამოუვიდა — რა იყო ამის მიზეზი?

— ასე მაშინ ხდება, როცა გუნდში ახალი მწვრთნელი მოდის — ახალი სიტუაცია იქმნება მწვრთნელისთვისაც და ფეხბურთელისთვისაც — იცვლება გარემო, მენტალიტეტი, იზრდება მედიის ინტერესი. ახლა კი ყველაფერი კარგად მიგვდის.

— რისი მიღწევა შეუძლია „ბაიერნს" ამ სეზონში?

— ვფიქრობ, ზამთრის შესვენების დაწყების წინ „ბაიერნმა" მოლოდინი გაამართლა — ყველა ტურნირზე წარმატებით გამოვდივართ და თუ ორ ბუნდესლიგურ თამაშსაც მოვიგებთ, საშობაო ლიდერებიც ჩვენ ვიქნებით. ძალიან ძნელია წინასწარმეტყველება ჩემპიონთა ლიგაზე, რადგან ამ ტურნირში ძალიან ბევრი კარგი გუნდია.

— „ბაიერნის" ძირითადში ხშირად ვერ ხვდებოდით და სხვა გუნდში აპირებდით გადასვლას. თუმც ფელიქს მაგათმა, ული ჰოენესმა და კარლ-ჰაინც რუმენიგემ თქვენი „ბაიერნში" დატოვება გადაწყვიტეს...

— მათი პოზიცია ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ასეთი ნდობისათვის მადლობელი ვარ, თორემ ჩემი სხვაგან გადასვლა ძალიან ადვილი იყო. თუ კვლავაც ასე იქნება, „ბაიერნში" კიდევ ათი წლითაც დავრჩები. თუმც იშვიათად რომ მიწევს თამაში და ამით უკმაყოფილო ვარ, ეს სავსებით ნორმალურია. ჯერ ახალგაზრდა ვარ და სწავლა და წინსვლა კიდევ შემიძლია, მაგრამ ამას სათადარიგოებში ყოფნით ვერასოდეს შევძლებ. არ აქვს მნიშვნელობა იმას, რამდენს და როგორ ვარჯიშობ, თამაშის რიტმს ვერაფერი ვერ შეედრება.

— სეზონის მეორე ეტაპისთვის თქვენი მიზანი ძირითადში დამკვიდრება იქნება?

— ძირითადში ერთი-ორჯერ თამაში იქნებ ზამთრის შესვენებამდეც შევძლო. მერე საშობაო შვებულება მშვიდად უნდა გავატარო ოჯახთან და მეგობრებთან ერთად, შემდეგ კი ბრძოლა მელის ძირითადში დასამკვიდრებლად — 23 წლის ვარ და ახლა თუ არ ვიბრძოლე, მერე როდის?



# შიდსმა თეძოც იცის?
## ჟიულს ერთკვირიანი დაემართა

„ბარსელონას" ფრანგი შუახაზელი ლუდოვიკ ჟიული პრიმერადივიზიონის მორიგ მატჩს „მალაგასთან" ვერ ითამაშებს და საეჭვოა, მომდევნო კვირაში მისი გამოჩენა ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში დონეცკის „შახტართანაც" — ამის მიზეზი ისაა, რომ ჟიულის თეძოს კუნთი აქვს დაჭიმული.

ჟიულის ტრავმები მოუხშირდა — ცოტა ხნის წინ სანაკრებო შეხვედრაში დაშავდა, ახლა კი თეძო შიდსის წინააღმდეგ საქველმოქმედო მატჩში დაიზიანა — გუშინწინ „კამპ ნოუზე" „ბარსელონამ" და მსოფლიოს ნაკრებმა ითამაშეს.

ჟიული შემტევი ტიპის ფეხბურთელია, რაც მისი მოსაკლისების მნიშვნელობას ზრდის, „ბარსას" ხომ შვედი მეგოლე ჰენრიკ ლარსონიც ტრავმირებული ჰყავს — მუხლის იოგები ისე გაუწყდა, სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

**დავით თავართქილაძე**

**საქველმოქმედო მატჩი**

**ბარსელონა 4:3 მსოფლიოს ნაკრები**

1:0 ინიესტა (15), 1:1 ნაკატა (18), 2:1 დეკო (27), 3:1 მესი (31), 3:2 მაკკარტი (50), 4:2 ბელეტი (84), 4:3 პეტროვი (87)

ბარსელონა: ვ. ვალდესი (რუბენი 46), დამია (ბელეტი 46), პუიოლი (ოლეგერი 46), ფ. ნავარო (მორა 71), ვან ბრონკჰორსტი (პენია 46), ფრაგოსო (მარკესი 46), დეკო (ხავი 46), ინიესტა (ვერდიუ 46), ჟიული (მესი 28; როდრი 82), რონალდინიო (ხავიტო 46), კრისტიანი (ეტოო 46)

მსოფლიოს ნაკრები: ხორხე კამპოსი (აბიატი 46), ოსტლუნდი, კომპანი, პოჩეტინიო (კაპსისი 46), კარბონი (ესკუდე 46), ობოდო (ბაკლი 46), ნაკატა (ხორხე კამპოსი 71), ბარახა (ვან ბუიტენი 46), უჩე (პეტროვი 46), ბოჟინოვი (დალესანდრო 46), ოუენი (მაკკარტი 46)

მსაჯი: მორენო დელგადო (ესპანეთი)
33 364 მაყურებელი

### ზიდანის იმედი
# 13-14 ფეხბურთელით ბარსა დიდხანს ვერ იფრენს

**კვლავ** „რეალი" და „ბარსელონა" — ზინედინ ზიდანმა პირი მოალო და „ბარსელონაზე" ილაპარაკა. „რეალის" სუპერვარსკვლავის ნაუბარი ძირითადად იმას მოიცავს, რომ „ბარსა" ახლა ჯანზეა, მაგრამ სეზონის ბოლოსთვის ალბათ ფეხი დაუცდება.

„ამჟამად ჩვენსა და „ბარსელონას" შორის დიდი სხვაობაა. ცხადზე ცხადია, რომ „ბარსა" ახლა გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე „რეალი", მაგრამ ხომ გახსოვთ, რა მოხდა წინა სეზონში — ჩვენ კარგად ვთამაშობდით, თუმცა სეზონის ბოლო ორი თვე ჩავაგდეთ და იგივე, შესაძლოა, „ბარსასაც" დაემართოს — „ბარსელონა" მხოლოდ 13-14 ფეხბურთელს იყენებს მთელ სეზონში და ეს საქმეს ვერ უშველის. ჩვენ ცხრილში მათთან ახლოს უნდა ვიყოთ და თუ ფეხი დაუცდებათ, გადავასწრებთ კიდეც. მჯერა, რომ „რეალი" ამ სეზონში რაღაც მნიშვნელოვანს შეძლებს და სეზონს რაიმე ტიტულით დავასრულებთ" — ასე მიაჩნია ზიდანს.

წინა სეზონში „რეალი" 17 ტურის შემდეგ ლიდერობდა ესპანეთის ჩემპიონატს, მაგრამ სეზონის ბოლოსკენ დაჩიავდა და ოდენ მეოთხე ადგილზე გავიდა.

„აქ ასაკი არაფერ შუაშია. „რეალში" ახლა 2-3 ფეხბურთელი თუა, 32 წელს რომ გადაახიჯა, დანარჩენები 25-28 წლისანი არიან. გუნდში ყველაზე წლოვანი მე ვარ და ჯერ კიდევ არ მოსულა ჩვენი ჩამოწერის დრო" — სწამს ზიდანს.

**დავით თავართქილაძე**




### ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „ლივერპულის" გერმანელ ნახევარმცველ დიტმარ ჰამანს კატალონიური „ბარსელონა" უტრიალებს. გუნდიდან წასვლა თავად ფეხბურთელსაც სურს, რადგანაც ბოლო დროს ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად ველარ ხვდება. თუმც მერსისაიდელთა თავკაცი რაფაელ ბენიტესი ვერ ელევა. „უახლოეს მომავალში დიტმარს დაველაპარაკები, მინდა, იგი დავარწმუნო, რომ გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა. უბრალოდ, ცოტა ხანს დაცდა და შესაფერისი დროის შერჩევაა საჭირო" — თქვა ესპანელმა სპეციალისტმა.

**გერმანული** „ბოხუმი" იანვარში 26 წლის თურქი მცველით, ფათიჰ აკიელით გაძლიერდება. ამ უკანასკნელს „ფენერბაჰჩესთან" კონტრაქტი ეწურება და მხარეები თანამშრომლობის გაგრძელებას არ აპირებენ. ფათიჰი თავის ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. „ბუნდესლიგა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ჩემპიონატია და იქ სიამოვნებით ვითამაშებ. მჯერა, რომ „ბოხუმს" დიდი მომავალი აქვს" — აღნიშნა ფეხბურთელმა.

**ინგლისური** „მანჩესტერის" ფორვარდი ლუი საა იანვრამდე მინდორს ვერ დაუბრუნდება. „სამწუხაროდ, მისი ტრავმა საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა და ახალ წლამდე ლუის დავიწყება მოგვიწევს. საინტერესოა, რომ კლუბში თამაშისას იგი ერთხელაც არ დაშავებულა, მაგრამ ნაკრების შეკრებაზე წავა თუ არა, ტრავმას იღებს. ამას უიღბლობას თუ დავაბრალებ" — განაცხადა „წითელი ეშმაკების" მთავარმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა.

**უელსის** ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი „ლანელი" შესაძლოა მალე ცნობილ მსახიობ კეტრინ ზეტა-ჯონსის ხელში აღმოჩნდეს. კინოვარსკვლავი კლუბის ყიდვას 500 ათას დოლარად აპირებს. „ლანელის" მფლობელი ამჟამად მისი ბიძაა, რომელსაც, ისევე, როგორც მთელ გუნდს, უნდა რომ შეთანხმება შედგეს. შეგახსენებთ, რომ კეტრინ ზეტა-ჯონსი სწორედ უელსშია დაბადებული.

**საფრანგეთის** ნაკრების მცველი ფილიპ მექსეში „რომაში" გადასვლით უკმაყოფილოა. „ზაფხულში კონტრაქტს „მანჩესტერი" და „ჩელსიც" მთავაზობდნენ, მაგრამ „რომამ" უფრო მეტი ფული გადაიხადა. აქ ჩინებული მოთამაშეები არიან, მაგრამ არ არის შეკრული გუნდი. შესაძლებელია, ეს მწვრთნელების ცვლამაც გამოიწვია. ნახევარი წელიც არ არის, რაც „რომაში" ვარ და უკვე მესამე სპეციალისტთან მიხდება მუშაობა. გარდა ამისა, ჯერ ქალაქსაც ვერ მივეჩვიე. თუმც იმედია, ყველაფერი ნელ-ნელა დალაგდება და ჩემი კარიერის ამ მძიმე მონაკვეთს მალე გადავლახავ" — თქვა 22 წლის მექსეშმა.

**ინგლისის** ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის" ფორვარდ ჯერმენ დეფოს კვლავ რამდენიმე კლუბი უტრიალებს. განსაკუთრებით ჟოზე მაურინიუს „ჩელსი" აქტიურობს. „არისტოკრატებს" შავკანიანი თავდამსხმელის ხელში ჩაგდება იანვარშივე სურთ, მაგრამ „მამლებს" სულ სხვა გეგმები აქვთ. „ტოტენჰემის" სპორტულ დირექტორ ფრენკ არნესენის თქმით, მალე დეფოს ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ.

**არგენტინული** „ინდეპენდიენტეს" 20 წლის მეკარე ლუკას მოლინა გულის შეტევით გარდაიცვალა. გასულ კვირას ახალგაზრდა ფეხბურთელს „ესტუდიანტესის" წინააღმდეგ არ უთამაშია, ხოლო საღამოს მისმა მეგობარმა გოგონამ იგი საავადმყოფოში მიიყვანა, მაგრამ ექიმებმა მოლინას გადარჩენა ვერ შეძლეს. რამ გამოიწვია გულის შეტევა, ჯერჯერობით უცნობია. 20 წლის მოლინას არგენტინასთან ერთად სამხრეთ ამერიკის ახალგაზრდული ჩემპიონატიც მოუგია.

**ესპანური** „რეალი" ეგებ გამოცდილ იტალიელ სპეციალისტ არიგო საკის ხელში აღმოჩნდეს. მადრიდელთა პრეზიდენტი კვლავ ძლიერი მწვრთნელის ძიებაშია და ერთ-ერთ კანდიდატად სწორედ არიგო საკი ჰყავს შეგულებული, რომლისადმიც დიდი სიმპათიები აქვს. თავად იტალიელმა მწვრთნელმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, „რეალის" დონის გუნდს სიამოვნებით ჩავიბარებდიო. შეგახსენებთ, არიგო საკი ამჟამად „პარმას" ტექნიკური დირექტორია.

**რუსეთის** ნაკრებისა და ვიგოს „სელტას" ყოფილი ნახევარმცველი ალექსანდრ მოსტოვოი შესაძლოა, იტალიურ „ტორინოში" გადაბარგდეს. „ჩემი აგენტი მოლაპარაკებას აწარმოებს, რომელიც უახლოეს მომავალში დამთავრდება. რადგანაც რუსეთში უკვე ხაზი გადავუსვეს და არავის ვჭირდები, ისევ საზღვარგარეთ წავალ, არც სერია B-ში გადასვლის პერსპექტივა მაშინებს, რადგანაც იტალიის მეორე ლიგაც საკმაოდ მაღალი დონისაა" — თქვა ვეტერანმა ფეხბურთელმა.

**ინგლისის** ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველ შონ რაიტ-ფილიპსის გარშემო ატეხილი აურზაური არ ცხრება. ამჯერად იგი „რეალს", „ატლეტიკოსა" და „მანჩესტერს" დაუკავშირეს, მაგრამ რაიტ-ფილიპსმა ისევ ყველაფერი უარყო. „არ მესმის, საიდან იგონებენ ჟურნალისტები ამ ისტორიებს. „სიტი" ჩემი საყვარელი კლუბია და მის დატოვებას არ ვაპირებ. ესპანელი ქომაგების რასისტული გამოხტომების შემდეგ არც ერთ იქაურ კლუბში ჩემი ფეხი არ იქნება, ხოლო „მანჩესტერზე" საუბარი უბრალოდ, სასაცილოა. „იუნაიტედის" ფორმას არასოდეს მოვირგებ, გამორიცხულია" — ღნიშნა 22 წლის ფეხბურთელმა.

# სარბიელი და კრო[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა

**4 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:45 | 1 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.5 | 3.5 | 7.0 | 1.04 | 1.23 | 2.33 |
| 18:00 | 2 | არსენალი-ბირმინგემი | 1.3 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 3.0 |
| 18:00 | 3 | ასტონ ვილა-ლივერპული | 2.4 | 3.3 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.46a |
| 18:00 | 4 | ნორვიჩი-ფულემი | 2.35 | 3.2 | 2.8 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 18:00 | 5 | ევერტონი-ბოლტონი | 2.05 | 3.3 | 3.3 | 1.26 | 1.26 | 1.64 |
| 18:00 | 6 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1.25 | 5.0 | 10.0 | 1.0 | 1.11 | 3.33 |
| 18:00 | 7 | პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 1.8 | 3.3 | 4.2 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 20:15 | 8 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 2.4 | 3:2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:05 | 9 | კრისტალ პალასი-ჩარლტონი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |

**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 10 | მიდლსბრო-სიტი | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |

### ინგლისი. ჩემპიონატი

**4 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 13 | კარდიფი-ჯილინგემი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 18:00 | 14 | ქრიუ-იფსვიჩი | 2.9 | 3.3 | 2.2 | 1.54 | 1.25 | 1.32 |
| 18:00 | 15 | დერბი-ქოვენთრი | 1.9 | 3.3 | 3.65 | 1.2 | 1.24 | 1.73 |
| 18:00 | 16 | ლიდსი-ლესტერი | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 18:00 | 17 | მილუოლი-შეფილდი | 2.1 | 3.3 | 3.0 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 | 18 | ნოტინგემი-ქპრ | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 18:00 | 19 | პლიმუთი-ბარნლი | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 18:00 | 20 | სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 1.8 | 3.3 | 3.5 | 1.16 | 1.18 | 1.69 |
| 18:00 | 21 | უოტფორდი-სტოკი | 2.1 | 3.3 | 3.1 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 18:00 | 22 | ბრაიტონი-როტერჰემი | 1.7 | 3.3 | 4.4 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 18:00 | 23 | ვულვერჰემპტონი-რედინგი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:30 | 24 | უიგანი-პრესტონი | 1.6 | 3.4 | 5.3 | 1.08 | 1.22 | 2.07 |

### ინგლისი. კონფერენსი

**4 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 25 | ბარნეტი-ლეი | 1.25 | 4.8 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.13 |
| 18:00 | 26 | კონვი-ბარტონი | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 27 | ფორესტ გრინი-აკრინგტონი | 2.95 | 3.1 | 2.15 | 1.51 | 1.24 | 1.26 |
| 18:00 | 28 | სკარბორო-გრეივსენდი | 1.9 | 3.2 | 3.6 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 18:00 | 29 | ტემუორთი-დაგ ენდ რედი | 2.0 | 3.4 | 3.0 | 1.25 | 1.2 | 1.59 |
| 18:00 | 30 | უოკინგი-ნორთვიჩი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

**4 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 31 | ლივინგსტონი-დანდი | 2.3 | 3.1 | 2.85 | 1.32 | 1.27 | 1.48 |
| 18:00 | 32 | აბერდინი-კილმარნოკი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 18:00 | 33 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1.2 | 5.5 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 3.41 |
| 18:00 | 34 | დანდი იუნაიტედი-მოზერუელი | 2.45 | 3.0 | 2.7 | 1.34 | 1.28 | 1.42 |
| 18:00 | 35 | ჰართსი-დანფერმლაინი | 1.65 | 3.4 | 4.8 | 1.11 | 1.22 | 1.99 |

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 36 | ინვერნესი-რეინჯერსი | 9.0 | 5.5 | 1.2 | 3.41 | 1.05 | 1.0 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

**4 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 37 | ერდრი-სტ.მირენი | 2.4 | 3.4 | 2.4 | 1.4 | 1.2 | 1.4 |
| 18:00 | 38 | კლაიდი-ფოლკირკი | 2.5 | 3.4 | 2.3 | 1.44 | 1.19 | 1.37 |
| 18:00 | 39 | პარტიკი-სტ.ჯონსტონი | 2.45 | 3.5 | 2.3 | 1.44 | 1.18 | 1.38 |
| 18:00 | 40 | ქუინი-რეითი | 1.55 | 3.9 | 4.4 | 1.1 | 1.14 | 2.06 |
| 18:00 | 41 | როსი-ჰამილტონი | 1.85 | 3.5 | 3.3 | 1.21 | 1.18 | 1.69 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

**4 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 42 | არბროთი-ბერიკი | 1.95 | 3.4 | 3.1 | 1.23 | 1.19 | 1.62 |
| 18:00 | 43 | ბრეჩინი-ეარი | 1.7 | 3.5 | 4.0 | 1.14 | 1.19 | 1.86 |
| 18:00 | 44 | მორტონი-ალოა | 1.55 | 3.8 | 4.6 | 1.1 | 1.15 | 2.08 |
| 18:00 | 45 | სტირლინგი-დამბარტონი | 1.85 | 3.3 | 3.5 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 18:00 | 46 | სტრანრარი-ფორფარი | 1.5 | 4.0 | 5.0 | 1.09 | 1.15 | 2.22 |

### გერმანია. I ბუნდესლიგა

**4 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 52 | არმინია-ჰანზა | 1.65 | 3.4 | 5.0 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 17:30 | 53 | ფრაიბურგი-ვერდერი | 3.5 | 3.2 | 2.0 | 1.67 | 1.27 | 1.23 |
| 17:30 | 54 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1.85 | 3.2 | 4.1 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| 17:30 | 55 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.7 | 3.2 | 5.2 | 1.11 | 1.28 | 1.98 |
| 17:30 | 56 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1.85 | 3.2 | 4.1 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| 17:30 | 57 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 4.6 | 3.4 | 1.7 | 1.95 | 1.24 | 1.13 |
| 17:30 | 58 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1.5 | 3.5 | 6.7 | 1.04 | 1.22 | 2.29 |

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 59 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:30 | 60 | დორტმუნდი-შალკე | 2.5 | 3.0 | 2.7 | 1.36 | 1.29 | 1.42 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა

**3 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 62 | ესენი-ალენი | 2.2 | 3.0 | 3.1 | 1.26 | 1.28 | 1.52 |
| 21:00 | 63 | ზაარბრიუკენი-აუე | 1.85 | 3.4 | 3.6 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 21:00 | 64 | კარლსრუე-დუისბურგი | 2.7 | 3.2 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 65 | კიოლნი-ერფურტი | 1.35 | 4.2 | 7.6 | 1.02 | 1.14 | 2.7 |
| 17:00 | 66 | ობერჰაუზენი-უნტერჰახინგი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 17:00 | 67 | ალემანია-ბურგჰაუზენი | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| 17:00 | 68 | დინამო-ტრირი | 2.2 | 3.0 | 3.1 | 1.26 | 1.28 | 1.52 |
| 17:00 | 69 | აინტრახტი-კოტბუსი | 1.75 | 3.2 | 4.2 | 1.13 | 1.23 | 1.81 |

**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 70 | მიუნხენი-ფიურტი | 2.1 | 3.0 | 3.2 | 1.23 | 1.26 | 1.54 |

### ავსტრია. ბუნდესლიგა

**4 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 89 | ადმირა-ბრეგენცი | 1.7 | 3.3 | 4.3 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 20:00 | 90 | აუსტრია-ზალცბურგი | 1.35 | 4.4 | 6.8 | 1.03 | 1.12 | 2.67 |
| 20:00 | 91 | მატერსბურგი-გრაცერი | 2.7 | 3.3 | 2.2 | 1.48 | 1.21 | 1.32 |
| 20:00 | 92 | შტურმი-ტიროლი | 1.95 | 3.1 | 3.4 | 1.19 | 1.23 | 1.62 |

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 93 | პაშინგი-რაპიდი | 2.25 | 3.3 | 2.7 | 1.33 | 1.22 | 1.48 |

### ავსტრია. I დივიზიონი

**3 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 94 | აუსტრია(ლ)-კაფენბერგი | 2.0 | 3.1 | 3.3 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 21:00 | 95 | გრატკორნი-ვიორგლი | 1.8 | 3.3 | 3.6 | 1.16 | 1.2 | 1.72 |
| 21:00 | 96 | კერნტენი-ლინცერი | 1.3 | 4.4 | 7.3 | 1.0 | 1.1 | 2.74 |
| 21:00 | 97 | ლეობენი-ალტახი | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 21:00 | 98 | რიდი-უნტერზიბენბრიუნი | 1.32 | 4.4 | 7.0 | 1.01 | 1.11 | 2.7 |

### შვეიცარია. სუპერლიგა

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 99 | ქსამაქსი-თუნი | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 16:30 | 100 | იანგ ბოიზი-ციურიხი | 1.9 | 3.3 | 3.7 | 1.2 | 1.25 | 1.74 |
| 16:30 | 101 | შაფჰაუზენი-სერვეტი | 2.3 | 3.0 | 2.9 | 1.3 | 1.28 | 1.47 |
| 18:00 | 102 | სტ.გალენი-აარაუ | 2.2 | 3.1 | 2.95 | 1.28 | 1.26 | 1.51 |
| 18:15 | 103 | გრასჰოპერი-ბაზელი | 2.95 | 3.0 | 2.25 | 1.48 | 1.27 | 1.28 |

### იტალია. სერია A

**4 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 115 | ინტერი-მესინა | 1.35 | 4.1 | 9.0 | 1.01 | 1.17 | 2.81 |
| 20:00 | 119 | პარმა-მილანი | 4.5 | 3.2 | 1.75 | 1.87 | 1.25 | 1.13 |

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 113 | კალიარი-კიევო | 2.1 | 2.9 | 3.65 | 1.21 | 1.33 | 1.61 |
| 17:00 | 114 | ფიორენტინა-ბოლონია | 1.8 | 3.0 | 4.5 | 1.12 | 1.28 | 1.79 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 116 | იუვენტუსი-ლაციო | 1.35 | 4.1 | 9.0 | 1.01 | 1.17 | 2.81 |
| 17:00 | 117 | ლეჩე-ლივორნო | 1.9 | 3.0 | 4.2 | 1.16 | 1.3 | 1.75 |
| 17:00 | 118 | პალერმო-ატალანტა | 1.55 | 3.1 | 7.5 | 1.03 | 1.28 | 2.19 |
| 17:00 | 120 | რეჯინა-ბრეშა | 2.1 | 2.9 | 3.65 | 1.21 | 1.33 | 1.61 |
| 22:30 | 121 | რომა-სამპდორია | 1.75 | 3.2 | 4.6 | 1.13 | 1.26 | 1.88 |
| 17:00 | 122 | უდინეზე-სიენა | 1.6 | 3.3 | 6.0 | 1.07 | 1.26 | 2.12 |

**იტალია. სერია B**

**3 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 125 | არეცო-ტორინო | 2.45 | 2.6 | 3.0 | 1.26 | 1.34 | 1.39 |

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 124 | ალბინოლეფე-სალერნიტანა | 2.15 | 2.8 | 3.2 | 1.21 | 1.28 | 1.49 |
| 17:00 | 126 | ასკოლი-ტერნანა | 1.9 | 2.75 | 4.1 | 1.12 | 1.29 | 1.64 |
| 17:00 | 127 | ბარი-ვიჩენცა | 2.0 | 2.7 | 3.8 | 1.14 | 1.31 | 1.57 |
| 17:00 | 128 | კატანძარო-პერუჯა | 2.7 | 2.6 | 2.75 | 1.32 | 1.36 | 1.33 |
| 17:00 | 129 | ჩეზენა-მოდენა | 2.45 | 2.7 | 2.8 | 1.28 | 1.3 | 1.37 |
| 17:00 | 130 | ტრევიზო-კატანია | 2.05 | 2.65 | 3.8 | 1.15 | 1.33 | 1.56 |
| 17:00 | 131 | ტრიესტინა-პიაჩენცა | 2.25 | 2.6 | 3.3 | 1.2 | 1.33 | 1.45 |
| 17:00 | 132 | ვერონა-პესკარა | 1.8 | 2.85 | 4.6 | 1.1 | 1.29 | 1.75 |
| 17:00 | 133 | ვიჩენცა-ემპოლი | 2.65 | 2.7 | 2.7 | 1.33 | 1.33 | 1.35 |
| 17:00 | 134 | ჯენოა-კროტონე | 1.3 | 4.3 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.79 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**

**4 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 154 | ალბასეტე-ვალენსია | 3.3 | 3.1 | 2.1 | 1.59 | 1.28 | 1.25 |
| 22:00 | 156 | ბარსელონა-მალაგა | 1.2 | 5.5 | 12.0 | 1.0 | 1.09 | 3.77 |
| 23:45 | 161 | სოსიედადი-ბეტისი | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 155 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1.9 | 3.3 | 3.7 | 1.2 | 1.25 | 1.74 |
| 19:00 | 157 | ლევანტე-ხეტაფე | 1.8 | 3.1 | 4.5 | 1.13 | 1.28 | 1.83 |
| 19:00 | 158 | მალიორკა-ნუმანსია | 1.85 | 3.2 | 4.0 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 19:00 | 159 | რასინგი-დეპორტივო | 2.7 | 3.2 | 2.4 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 19:00 | 160 | სევილია-ბილბაო | 1.8 | 3.3 | 4.1 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 21:00 | 162 | ვილიარეალი-რეალი | 3.2 | 3.3 | 2.05 | 1.62 | 1.24 | 1.26 |
| 19:00 | 163 | სარაგოსა-ესპანიოლი | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |

**ესპანეთი. II დივიზიონი**

**4 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 164 | ალავესი-ლეიდა | 2.1 | 2.65 | 3.8 | 1.17 | 1.35 | 1.56 |
| 20:30 | 167 | სელტა-ტენერიფე | 2.0 | 2.75 | 4.0 | 1.15 | 1.33 | 1.62 |

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 165 | ალმერია-ეიბარი | 2.75 | 2.6 | 2.75 | 1.33 | 1.37 | 1.33 |
| 14:00 | 166 | კადისი-ელჩე | 2.15 | 2.65 | 3.6 | 1.18 | 1.34 | 1.52 |
| 19:00 | 168 | ფეროლი-ვალიადოლიდი | 2.3 | 2.65 | 3.3 | 1.23 | 1.35 | 1.46 |
| 19:00 | 169 | სპორტინგი-ტერასა | 2.2 | 2.6 | 3.4 | 1.19 | 1.33 | 1.47 |
| 19:00 | 170 | ტარაგონა-სერესი | 2.6 | 2.6 | 2.8 | 1.29 | 1.34 | 1.34 |
| 14:00 | 171 | მალაგა ბ-კორდობა | 1.9 | 2.7 | 4.5 | 1.11 | 1.33 | 1.68 |
| 19:00 | 172 | მურსია-სიუდადი | 2.6 | 2.55 | 2.9 | 1.28 | 1.37 | 1.35 |
| 20:30 | 173 | უელვა-პონტევედრა | 1.9 | 2.7 | 4.5 | 1.11 | 1.33 | 1.68 |
| 19:00 | 174 | სალამანკა-ეხიდო | 2.4 | 2.6 | 3.0 | 1.24 | 1.33 | 1.39 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

**3 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 175 | მონაკო-რენი | 1.6 | 3.2 | 6.0 | 1.06 | 1.26 | 2.08 |

**4 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:15 | 176 | პსჟ-ლილი | 2.1 | 3.0 | 3.4 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 22:00 | 177 | სტ.ეტიენი-ტულუზი | 2.05 | 2.9 | 3.7 | 1.2 | 1.31 | 1.62 |
| 22:00 | 178 | სტრასბური-სოშო | 2.5 | 3.0 | 2.7 | 1.36 | 1.29 | 1.42 |
| 22:00 | 179 | ნანტი-ნიცა | 2.0 | 3.0 | 3.7 | 1.2 | 1.29 | 1.65 |
| 22:00 | 180 | კაენი-მარსელი | 2.55 | 2.9 | 2.7 | 1.35 | 1.31 | 1.39 |
| 22:00 | 181 | ისტრი-ბასტია | 2.3 | 2.9 | 3.0 | 1.28 | 1.3 | 1.47 |
| 22:00 | 182 | ლანსი-მეცი | 2.1 | 2.9 | 3.6 | 1.21 | 1.32 | 1.6 |
| 22:00 | 183 | აიაჩო-ლიონი | 4.3 | 3.0 | 1.85 | 1.76 | 1.29 | 1.14 |

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 184 | ოსერი-ბორდო | 2.1 | 2.9 | 3.6 | 1.21 | 1.32 | 1.6 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი**

**3 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 186 | ბრესტი-ანჟე | 1.85 | 2.9 | 4.0 | 1.12 | 1.26 | 1.68 |
| 22:00 | 187 | კრეტეი-კლერმონი | 2.4 | 2.6 | 3.0 | 1.24 | 1.33 | 1.39 |
| 22:00 | 188 | გრენობლი-ლორიანი | 2.1 | 2.7 | 3.6 | 1.18 | 1.32 | 1.54 |
| 22:00 | 189 | გენიონი-ვენგამი | 1.9 | 2.7 | 4.3 | 1.11 | 1.31 | 1.65 |
| 22:00 | 190 | ლე ავრი-ნანსი | 2.85 | 2.7 | 2.5 | 1.38 | 1.33 | 1.29 |
| 22:00 | 191 | ლე მანი-ნიორი | 1.9 | 2.7 | 4.3 | 1.11 | 1.31 | 1.65 |
| 22:00 | 192 | მონპელიე-ლავალი | 1.95 | 2.7 | 4.0 | 1.13 | 1.31 | 1.61 |
| 22:00 | 193 | რეიმსი-ამიენი | 2.3 | 2.6 | 3.4 | 1.22 | 1.37 | 1.47 |
| 22:45 | 194 | სედანი-ტრუა | 2.35 | 2.6 | 3.3 | 1.23 | 1.37 | 1.45 |

**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 195 | შატორუ-დიჟონი | 2.0 | 2.6 | 4.0 | 1.13 | 1.33 | 1.57 |

**ბელგია. I დივიზიონი**

**3 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 196 | ლუვიე-გენტი | 2.05 | 3.3 | 3.0 | 1.26 | 1.21 | 1.57 |
| 22:30 | 201 | მუსკრონი-სერკლი | 2.0 | 3.1 | 3.4 | 1.21 | 1.25 | 1.62 |

**4 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 197 | ბრიუგე-მონსი | 1.15 | 5.5 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 3.77 |
| 22:00 | 198 | ბეერსხოტი-ანდერლეხტი | 3.95 | 3.2 | 1.8 | 1.76 | 1.23 | 1.15 |
| 22:00 | 199 | გენკი-ლიერსი | 1.75 | 3.2 | 4.2 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 22:00 | 200 | ვესტერლო-სტ.ტრუიდენი | 1.8 | 3.2 | 3:9 | 1.15 | 1.23 | 1.75 |

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 202 | სტანდარდი-ბევერენი | 1.55 | 3.4 | 5.6 | 1.06 | 1.21 | 2.11 |
| 17:00 | 203 | ბრიუსელი-შარლერუა | 3.1 | 3.1 | 2.1 | 1.54 | 1.25 | 1.25 |
| 17:00 | 204 | ლოკერენი-ოსტენდე | 1.4 | 3.8 | 7.0 | 1.02 | 1.16 | 2.46 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი**

**3 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 214 | ვალვაიკი-აიაქსი | 4.7 | 3.6 | 1.6 | 2.03 | 1.19 | 1.1 |

**4 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 215 | გრააფსხაპი-პსვ | 7.5 | 4.7 | 1.3 | 2.88 | 1.1 | 1.01 |
| 21:30 | 216 | როდა-გრონინგენი | 1.9 | 3.2 | 3.7 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 21:30 | 217 | როზენდალი-ბრედა | 3.0 | 3.2 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 22:00 | 218 | ტვენტე-დენ ბოსხი | 1.65 | 3.5 | 4.5 | 1.12 | 1.2 | 1.96 |

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 219 | ალკმაარი-დენ ჰააგი | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| 16:30 | 220 | ფეიენოორდი-ნაიმეგენი | 1.25 | 4.7 | 9.5 | 1.0 | 1.1 | 3.14 |
| 16:30 | 221 | ვიტესი-უტრეხტი | 2.1 | 3.1 | 3.3 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 16:30 | 222 | ტილბურგი-ჰერენვენი | 2.25 | 3.2 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი**

**3 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 223 | ვეენდამი-აპელდორნი | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 22:00 | 224 | კამბური-ექსელსიორი | 2.35 | 3.1 | 2.6 | 1.33 | 1.23 | 1.41 |
| 22:00 | 225 | ეინდჰოვენი-იგლსი | 2.75 | 3.2 | 2.2 | 1.47 | 1.22 | 1.3 |
| 22:00 | 226 | ჰაარლემი-ვოლენდამი | 2.3 | 3.2 | 2.6 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 22:00 | 227 | სპარტა-ფორტუნა | 1.55 | 3.5 | 5.1 | 1.07 | 1.18 | 2.07 |
| 22:00 | 228 | ტელსტარი-დორდრეხტი | 2.55 | 3.2 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.35 |
| 22:00 | 229 | ოსი-ემენი | 1.7 | 3.2 | 4.3 | 1.11 | 1.21 | 1.83 |
| 22:00 | 230 | ვენლო-ჰერაკლესი | 2.15 | 3.2 | 2.8 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 22:00 | 231 | ზვოლე-ჰელმონდი | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |

**თურქეთი**

**3 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 258 | ფენერბაჩე-ანკარაგიუჯიუ | 1.15 | 5.0 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 3.52 |

**4 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 259 | დენიზლი-მალათია | 1.85 | 3.4 | 3.6 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 17:00 | 260 | დიარბაქირი-კონია | 2.1 | 3.2 | 3.1 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 17:00 | 261 | ტრაბზონი-რიზე | 1.45 | 3.9 | 5.3 | 1.05 | 1.13 | 2.24 |
| 20:00 | 262 | გენჩლერი-გალათასარაი | 3.2 | 3.1 | 2.0 | 1.57 | 1.23 | 1.21 |

**5 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 263 | საკარია-კაისერი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 15:00 | 264 | გაზიანთეფი-სებათი | 1.5 | 3.5 | 5.8 | 1.04 | 1.19 | 2.18 |
| 15:00 | 265 | ანკარა-სამსუნი | 2.05 | 3.1 | 3.2 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 20:00 | 266 | ბეშიქთაში-ისთანბული | 1.35 | 3.9 | 7.3 | 1.0 | 1.13 | 2.54 |

**ხორვატია**

**4 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:30 | 276 | ზაგრები-ზადარი | 1.45 | 3.8 | 5.5 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| 15:30 | 277 | ინტერი-ოსიეკი | 1.65 | 3.7 | 4.0 | 1.14 | 1.16 | 1.92 |
| 15:30 | 278 | მედიმურიე-სლავენი | 2.6 | 2.9 | 2.45 | 1.37 | 1.26 | 1.32 |
| 15:30 | 279 | პულა-კამენი | 2.2 | 2.9 | 3.0 | 1.25 | 1.26 | 1.47 |
| 18:00 | 280 | რიეკა-ვარტექსი | 2.0 | 3.0 | 3.3 | 1.2 | 1.24 | 1.57 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 281 | პაიდუკი-დინამო | 2.0 | 3.3 | 3.0 | 1.24 | 1.2 | 1.57 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 582 | პუმასი-ატლასი | 2.1 | 3.3 | 2.9 | 1.28 | 1.21 | 1.54 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 319 | პარტიზანი-ვილიარეალი | 2.65 | 2.7 | 2.65 | 1.33 | 1.32 | 1.33 |
| 22:45 | 320 | ეგალეო-ლაციო | 3.3 | 3.4 | 1.9 | 1.67 | 1.2 | 1.21 |
| 22:45 | 321 | ალკმაარი-რეინჯერსი | 2.2 | 2.9 | 3.2 | 1.25 | 1.3 | 1.52 |
| 22:45 | 323 | დინამო-ჰერენვენი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 22:45 | 324 | ბევერენი-ბენფიკა | 5.5 | 3.6 | 1.55 | 2.17 | 1.2 | 1.08 |
| 22:45 | 325 | სევილია-აეკ | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| 22:45 | 326 | ალემანია-ზენიტი | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **3 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 332 | სკანთორპი-რექსემი | 2.1 | 3.2 | 2.9 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 22:45 | 333 | კემბრიჯი-დონსი | 3.5 | 3.1 | 1.95 | 1.64 | 1.25 | 1.19 |
| | | **4 დეკემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 334 | ნორთჰემპტონი-ბერი | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 16:30 | 335 | ჰიუსტონი-იოვილი | 4.8 | 3.4 | 1.65 | 1.99 | 1.22 | 1.11 |
| 18:00 | 336 | ჰალი-მაკლსფილდი | 1.45 | 3.6 | 6.5 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 18:00 | 337 | რაშდენი-კოლჩესტერი | 2.75 | 3.3 | 2.25 | 1.5 | 1.23 | 1.33 |
| 18:00 | 338 | ჰალიფაქსი-ჩესტერი | 2.5 | 3.3 | 2.4 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 18:00 | 339 | სტოკპორტი-სუონსი | 2.25 | 3.3 | 2.75 | 1.33 | 1.23 | 1.5 |
| 18:00 | 340 | ბლეკპული-პორტ ვეილი | 2.15 | 3.3 | 2.9 | 1.3 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 341 | სუინდონი-ნოტსი | 1.4 | 4.1 | 6.6 | 1.04 | 1.15 | 2.52 |
| 18:00 | 342 | უიკომბი-ლუტონი | 3.8 | 3.4 | 1.8 | 1.79 | 1.22 | 1.17 |
| 18:00 | 343 | სტივენეიჯი-როჩდეილი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 18:00 | 344 | ჰარტლპული-ალდერშოტი | 1.35 | 4.3 | 7.2 | 1.02 | 1.13 | 2.69 |
| 18:00 | 345 | ოლდემი-ლეიტონი | 1.85 | 3.4 | 3.7 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 18:00 | 346 | ჰერეფორდი-ბოსტონი | 2.35 | 3.2 | 2.7 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 18:00 | 347 | პიტერბრო-ბასი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| | | **სამხ.ამერიკ.თასი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 580 | ბოლივარი-უნივერსიტარია | 1.65 | 3.3 | 4.95 | 1.1 | 1.23 | 1.98 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 359 | ესბიერგი-რუსენბორგი | 2.6 | 3.4 | 2.3 | 1.47 | 1.22 | 1.37 |
| 20:00 | 360 | ტრომსიო-კოპენჰაგენი | 2.35 | 3.3 | 2.6 | 1.37 | 1.23 | 1.45 |
| 20:00 | 361 | ოდენსე-ჰალმსტადი | 2.0 | 3.4 | 3.1 | 1.25 | 1.21 | 1.62 |
| 22:00 | 362 | ვოლერენგა-იურგორდენი | 1.5 | 3.7 | 5.7 | 1.06 | 1.18 | 2.24 |
| 22:00 | 363 | ბრიონდბიუ-გიოტებორგი | 1.5 | 3.7 | 5.7 | 1.06 | 1.18 | 2.24 |
| 22:30 | 364 | ბრანი-მალმიო | 1.85 | 3.4 | 3.6 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 374 | მორა-ბრიუნესი | 1.8 | 4.5 | 2.8 | 1.28 | 1.09 | 1.72 |
| 21:00 | 375 | ტიმრე-მოდო | 1.85 | 4.4 | 2.75 | 1.3 | 1.1 | 1.69 |
| 21:00 | 376 | იურგორდენი-ფრიოლუნდა | 2.4 | 4.3 | 2.1 | 1.54 | 1.12 | 1.41 |
| 21:00 | 377 | ფერიესტადი-მალმიო | 1.45 | 4.5 | 4.4 | 1.09 | 1.09 | [illegible] |
| 21:00 | 378 | ლულეო-სიოდერტელიე | 2.0 | 4.4 | 2.5 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 21:00 | 379 | ჰვ 71-ლინჩიოპინგი | 2.4 | 4.5 | 2.05 | 1.56 | 1.1 | 1.4 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 392 | სეიპა-იოკერიტი | 3.0 | 4.4 | 1.7 | 1.78 | 1.08 | 1.22 |
| 19:00 | 393 | ტაპარა-ესპოო | 2.05 | 4.2 | 2.45 | 1.37 | 1.11 | 1.54 |
| 19:00 | 394 | ტურკუ-ილვესი | 1.65 | 4.3 | 3.6 | 1.19 | 1.13 | 1.95 |
| 19:00 | 395 | პელიკანსი-იუვესკიულე | 3.5 | 4.5 | 1.6 | 1.96 | 1.09 | 1.18 |
| 19:30 | 396 | ესეტი-კერპეტი | 2.6 | 4.3 | 2.0 | 1.62 | 1.13 | 1.36 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | | | | |
| 14:00 | 480 | ავანგარდი-ნეფტეხიმიკი | 1.25 | 5.5 | 6.0 | 1.01 | 1.03 | 2.86 |
| 14:00 | 481 | აკ-მოლოტი | 1.3 | 5.3 | 6.0 | 1.04 | 1.06 | 2.81 |
| 14:00 | 482 | მაგნიტოგორსკი-ნოვოკუზნეცკი | 1.35 | 5.2 | 4.9 | 1.07 | 1.05 | 2.52 |
| 14:00 | 483 | სევერსტალი-ცსკა | 1.7 | 4.6 | 3.1 | 1.24 | 1.09 | 1.85 |
| 14:00 | 484 | ს.იულაევი-ლოკომოტივი | 2.8 | 4.8 | 1.7 | 1.76 | 1.05 | 1.25 |
| 14:00 | 485 | დინამო-სიბირი | 1.2 | 6.0 | 7.0 | 1.0 | 1.02 | 3.23 |
| 14:00 | 486 | ხიმიკი-აკ ბარსი | 3.6 | 4.8 | 1.45 | 2.05 | 1.03 | 1.11 |
| 14:00 | 487 | ლადა-სპარტაკი | 1.2 | 5.8 | 6.0 | 1.0 | 1.0 | 2.94 |

ეროვნული ბიბლიოთეკა




## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15319 პარტიზანი-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15320 ეგალეო-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15321 ალკმაარი-რეინჯერსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15323 დინამო-ჰერენვენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15324 ბევერენი-ბენფიკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15325 სევილია-აეკ | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15326 ალემანია-ზენიტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11319 პარტიზანი-ვილიარეალი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11320 ეგალეო-ლაციო | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.7 |
| 11321 ალკმაარი-რეინჯერსი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11323 დინამო-ჰერენვენი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11324 ბევერენი-ბენფიკა | 8.0 | 10.0 | 20.0 | 9.0 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.3 |
| 11325 სევილია-აეკ | 1.8 | 15.0 | 30.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11326 ალემანია-ზენიტი | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.4 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | |
|---|---|---|
| 14319 პარტიზანი-ვილიარეალი | 1.9 | 1.9 |
| 14320 ეგალეო-ლაციო | 2.2 | 1.7 |
| 14321 ალკმაარი-რეინჯერსი | 1.75 | 2.1 |
| 14323 დინამო-ჰერენვენი | 1.7 | 2.2 |
| 14324 ბევერენი-ბენფიკა | 2.6 | 1.4 |
| 14325 სევილია-აეკ | 1.25 | 3.0 |
| 14326 ალემანია-ზენიტი | 1.95 | 1.85 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | |
|---|---|---|
| 12319 პარტიზანი-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 12320 ეგალეო-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 12321 ალკმაარი-რეინჯერსი | 1.8 | 1.8 |
| 12323 დინამო-ჰერენვენი | 1.8 | 1.8 |
| 12324 ბევერენი-ბენფიკა | 1.9 | 1.7 |
| 12325 სევილია-აეკ | 1.9 | 1.7 |
| 12326 ალემანია-ზენიტი | 1.7 | 1.9 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | კი | არა |
|---|---|---|
| 13319 პარტიზანი-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 13320 ეგალეო-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 13321 ალკმაარი-რეინჯერსი | 1.6 | 2.0 |
| 13323 დინამო-ჰერენვენი | 1.7 | 1.9 |
| 13324 ბევერენი-ბენფიკა | 1.7 | 1.9 |
| 13325 სევილია-აეკ | 1.85 | 1.75 |
| 13326 ალემანია-ზენიტი | 1.7 | 1.9 |

# მახო კანს იცვლის

## 200-პროცენტიანი რწმენა: რუსეთი ვერასოდეს მოგვიგებს

*საქართველო – რუსეთის ისტორიული სარაგბო ჯახებიდან ბევრი ქომაგი 1998 წლის თბილისურ მატჩს გამოარჩევს – 12:6 რომ მოვიგეთ და ის თორმეტივე ქულა ერთმა თვალებნაპერწკლიანმა ბავშვმა რომ მოინაგრა. დიახ, ბავშვმა – მალხაზ ურჯუკაშვილი მაშინ ჯერ კიდევ 16 წლის სკოლის მოსწავლე იყო, მაგრამ თქვენი მოწონებული ოთხი საჯარიმო დაურტყა სლავებს. მას შემდეგ მახო ბორჯღალოსანთა შეუცვლელი გარემარბი გახდა და 20 ნოემბრის კრასნოდარის მატჩშიც რიგიანად იბურთავა.*

*მალხაზ ურჯუკაშვილთან ინტერვიუ მხოლოდ განვლილი რუსეთ – საქართველოს თამაშს არ ეხება, თუმც ამ თემით კი იწყება...*



მალხაზ ურჯუკაშვილი რუსებთან ბავშვობიდან ომობს

— ქონის გარდა კიდევ რითი ვჯობნით რუსებს?

— რა ვიცი, რითი აღარ... თუნდაც, ტექნიკით. გუნდური თამაშიც მათზე უკეთ შეგვიძლია და ინდივიდუალურადაც, მგონი, მაღლა ვდგავართ. ბოლო მატჩი ძალიან ადვილად მოვუგეთ. ასეთი დემორალიზებული რუსეთი აქამდე არ მინახავს. ვერ გეტყვით, ისინი დასუსტდნენ თუ ჩვენ გავძლიერდით, მაგრამ ამ გამარჯვებით უკვე წერტილი დავსვით — მორჩა, 200 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი ჩვენ ვეღარასოდეს მოგვიგებს.

— ესე იგი, ფსიქოლოგიურად თამაშის დაწყებამდე ვიგებთ?

— შეიძლება ასეც არის. თუმც, თუ მეტოქეზე ერთი თავით ძლიერი არ ხარ, თამაშამდე ვერ მოიგებ.

— როგორ შეატყვე, სერგეევისა და რაჩკოვის წასვლამ ძალიან დაასუსტა რუსები?

— არა. სერგეევი მათგან გამორჩეული იყო, მაგრამ ხშირად ყოფილა, მთელი თამაში კონსტანტინ რაჩკოვზე აუწყვიათ. რუსებს ბოლო წლებში ისეთი ტოპ-კლასის მორაგბე ნაღდად არ ჰყოლიათ, ვისი წასვლაც გუნდს დაუშლიდათ. ყველანი დაახლოებით თანაბარი დონისანი არიან.

— რუსებს რომ ვუგებთ, ამას რა ჯობს, მაგრამ ბოლო წლებში პორტუგალიას ვერაფერს ვუხერხებთ. მაინც რით გადაგვასწრეს?

— თავს დავდებ, პორტუგალია ჩვენზე მაღალი კლასის გუნდი არ არის. აი, ბოლოს თბილისში რომ წავაგეთ, ნამდვილი საცოდაობა იყო. უბრალოდ, პორტუგალიელებმა უფრო ჯიგრიანად, უფრო გუნდურად ითამაშეს და ნაკლები შეცდომები დაუშვეს. ჩვენ კი იმდენი ელემენტარული ხარვეზი გვქონდა, კაცი ვერ დათვლიდა. მაგალითად, ჩვენი ოცდაორიდან მათ ოცდაორში უპრობლემოდ ჩავდიოდით, იქ კი ან ბურთი გვივარდებოდა ხელიდან, ან უაზრო პასს ვაკეთებდით. ლამის მთელ მინდორს რომ გაირბენ და ლელოს ვერ დადებ, არც ერთი გუნდი არ გაპატიებს. ის თამაში ჩვენვე წავაგეთ, თორემ პორტუგალია სულაც არ არის საშინელი ძალის გუნდი.

— ესე იგი, თებერვალში აუცილებლად მოვუგებთ?

— დარწმუნებულიც კი ვარ. შესაძლოა, პორტუგალიას უფრო ადვილადაც მოვუგოთ, ვიდრე რუსებს. მათთან ბოლოს რომ წავაგეთ, რაღაც გვაკლდა, ნაკრებში ბევრი ახალგაზრდა მორაგბე იყო და ყველა უცებ ვერ მოერგო თამაშს. ახლა კი იმედია, ლეგიონერებიც ჩამოვლენ და კარგადაც მოვემზადებით.

— ერთა თასის მოპოვება რამდენად რეალურია?

— სწორედ ამისთვის ვიბრძვით და ვფიქრობ, რეალურია. მთავარია, ლეგიონერების პრობლემა მოიხსნას, თორემ თუ ნაკრები ვერ შეიკრიბა, მაშინ ვერაფერს შევპირდებით.

— ბოლო დროს შენს პოზიციაზე, 14 ნომრად იშვიათად თამაშობ. რუსეთში უკანა მცველად ითამაშე და არ გაგიჭირდა?

— არ მსიამოვნებს, ადგილს რომ მიცვლიან. პრინციპში, სადაც დამაყენებენ, იქ უნდა ვითამაშო, მაგრამ დავიღალე... „აკადემიაში" 10 ნომრად მიწევს თამაში, კრასნოდარში რუსებთან 15 ნომერი ვიყავი და გზა-კვალი არეული მაქვს. ასე არ გამოვა, შეუჩვეველ პოზიციაზე უცებ გადასვლა ძალიან ძნელია.

— ალბათ ისევ გარემარბად, 14 ნომრად გირჩევნია თამაში...

— კი, ყოველ შემთხვევაში, 15-ს ნაღდად მირჩევნია. ამ საკითხზე მწვრთნელებთან მექნება ლაპარაკი.

— ეს სეზონი „აკადემიაში" გაატარე. უცხოური კლუბის ვარიანტი არ გაქვს?

— ისევ საფრანგეთში მივდივარ. ვიზას ველოდები, თორემ ორშაბათს იქ უნდა ვყოფილიყავი.

— რომელ კლუბში?

— „კანში". ლამაზი ქალაქია, მაგრამ დაბალი დივიზიონის გუნდია და რას იზამ. „კანის" ხელმძღვანელობასთან ყველაფერი გარკვეულია და ამ კვირის ბოლოს მივდივარ.

— გამოდის, საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფში „აკადემიას" ვერ დაეხმარები...

— როგორ არა. 10 დეკემბერს აქ ვიქნები და პლეი ოფის მატჩებს ვითამაშებ. საფრანგეთის ჩემპიონატში ორ კვირაში შესვენება ცხადდება და 6 იანვარს განახლდება. მეც იმ დროს შევუერთდები „კანს".

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის პლეი ოფებამდე ორად ორი თამაში დარჩა, რომელთაგან ერთი ხვალ გაიმართება ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე. მესამეადგილოსანი „დათვები" ერთი საფეხურით მაღლა მდგომ „აკადემიას" შეერკინებიან და პრინციპში, ამ მატჩში დიდად გასარკვევი არაფერია — პლეი ოფი ბათუმელებმაც დაიბევეს და აკადემიელებმაც.

# რაგბია თუ კალათბურთი?

## ბენდიაშვილი დროის გაჩერებამ აღაშფოთა



სამაგიეროდ, გასული ტურის „ლოკომოტივი" — „ყოჩებს" ჰქონდა სატურნირო მნიშვნელობა. რკინიგზელები შეხვედრას ერთი ქულით (25:24) იგებდნენ, თუმც „ყოჩებმა" მსაჯ ნოდარ რობიტაშვილის მიერ დამატებულ წუთებზე ჯარიმა გაიტანეს და თამაშიც მოიგეს. სწორედ ამ წუთების დამატებას მოჰყვა „ლოკომოტივის" თავკაც თემურ ბენდიაშვილის განრისხება, ჰოკეი და კალათბურთი ხომ არ არის, სუფთა დრო რომ გვათამაშესო.

„რობიტაშვილმა მატჩს 35 წამი დაამატა. ამ დროს ჩვენი შერკინება იყო, მაგრამ თამაში ისევ გაჩერდა. „ყოჩების" მორაგბეები მსაჯს წუთნახევარი მაინც ედავებოდნენ, რის შემდეგაც მათ სასარგებლოდ შერკინება, მერე კი ჯარიმა დაინიშნა. საინტერესოა, იმ დავაკამათში მსაჯმა წამზომი რატომ გამორთო. მე ასე ვიცი, რომ რაგბის წეს-კანონებით ეს ნებადართული არ არის. ამიტომაც მოვითხოვთ მატჩის გადათამაშებას, რაშიც უცნაურს ვერაფერს ვხედავ" — გვითხრა თემურ ბენდიაშვილმა

ეს მატჩი საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის (სტკ) სხდომაზე განიხილეს და გადაწყვიტეს, რომ მსაჯები დაესაჯათ, ანგარიში კი ძალაში დაეტოვებინათ. თუმც ბენდიაშვილი წაგებას არ ეპუება: „სტკ ბოლო ინსტანცია არ არის. ამ საკითხს ხვალ (ესე იგი დღეს) რაგბის კავშირი განიხილავს. მით უმეტეს, მსაჯებმაც აღიარეს შეცდომა. ეს თამაში რომ არაფერს წყვეტდეს, კიდევ ხელს ჩავიქნევდით, მაგრამ პლეი ოფში გამსვლელი მეოთხე გუნდი ჩვენსა და „ყოჩებს" შორის უნდა გაირკვეს"... ასე რომ, ყველაფერი რაგბის კავშირის ვერდიქტზეა დამოკიდებული.

და კიდევ: დასაწყისში „აკადემია" ვახსენეთ. როგორც იცით, ეს კლუბი შემოდგომაზე შავიზღვის რეგიონთა თასზე ბურთაობდა. აკადემიელებმა ჯგუფში ხარკოვის რეგიონსა და მოსკოვურ „ფილის" მოუგეს, მეოთხედფინალში კი ლატვიურ „რიგას" უნდა შეხვედროდნენ, თუმც თბილისელებმა ტურნირის გაგრძელებაზე უარი თქვეს. საქმე ისაა, რომ ზუსტად იმ დღეებში „აკადემიის" რამდენიმე მორაგბე საქართველოს ნაკრებს ჩილე-ურაგვაის ტურნეზე გაჰყვა, ზოგიერთმა კი ტრავმა მიიღო.

**ილია ნანობაშვილი**





ალექსი დავითაშვილი

# აბსოლუტურად ყველანი ბუდაპეშტში

**შაბათს** უნგრეთის მთავარქალაქ ბუდაპეშტში წლევანდელი სეზონის დამაგვირგვინებელი ევროტურნირი, ევროპის აბსოლუტური ჩემპიონატი ჩატარდება. მსგავსი შეჯიბრი აქამდე არასოდეს გამართულა და სადებიუტოდ დიდ კონკურენციას ალბათ ბევრი არც ელოდა, მაგრამ, როგორც ირკვევა, სიახლის პოპულარიზაციისთვის დრო საჭირო არც ყოფილა. უნგრეთში ჩასვლა ორმოცდაათამდე ქვეყნის დელეგაციას გადაუწყვეტია და თითოეულს მაქსიმუმ სამი ძიუდოისტის გამოყვანა შეეძლება.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაც სამკაციანია. აბსოლუტურში გაჩემპიონებას გიორგი ყიზილაშვილი, ივერი ჯიქურაული და ალექსი დავითაშვილი შეეცდებიან. მათგან ყველაზე მძიმე დავითაშვილია, რომელმაც ახლახან ქართული ჭიდაობის ფალავნობა მეშვიდედ მოიგო. ყიზილაშვილი და ჯიქურაული კი ჩვეულებრივ ტურნირებში 100 კილოგრამში გამოდიან და ამჯერად ბევრ თავისზე მძიმე მეტოქესთან მოუწევთ დაჭიდება.

საამტურნიროდ გამალებით ემზადებოდა ლაშა გუჯეჯიანიც. ერთი თვის წინ მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მომგებმა მძიმეწონოსანმა რამდენიმე დღის წინ სლოვენიაში ჩატარებული 23-წლამდელთა ევროპირველობა იმის იმედად გამოტოვა, რომ დროს ნატკენი მუხლის მოსაშუშებლად და უნგრეთისთვის უკეთ მოსამზადებლად გამოიყენებდა, თუმც ტრავმის მორჩენა მაინც ვერ მოასწრო.

საქართველოს ნაკრები ბუდაპეშტში დღეს დილით გაფრინდა. ძიუდოისტთა ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელის გარდა, ტურნირს ფედერაციის პრეზიდენტი დილარ ხაბულიანიც დაესწრება. ხაბულიანის ვიზიტის უმთავრესი მიზეზი ხვალისთვის დაგეგმილ საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობაა და ერთი კარგი ქართული საქმეც. უნგრეთში, ცხადია, საბერძნეთისა და ისრაელის ნაკრებებიც ჩავლენ. ჰოდა, იქაურ ძიუდოს შეფებთან ხაბულიანი და ხაბარელი ჯარჯი ზვიადურისა და არიელ ზეევის „სავარეჯოში" გადმოყვანაზე კონკრეტულად დაილაპარაკებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

# შავთა შავის ბნელი ისტორიები
## ზანგი ჰოკეისტი ყაზანის კარში

*ნჰლ-ში მოთამაშე შავკანიან ჰოკეისტთა შორის ყველაზე შავკანიანი, სითბოს მიჩვეული „კოლუმბუსის“ მეკარე ფრედ ბრეტუეიტი ლოკაუტმა ცივ რუსეთში გადაისროლა. მან, თავისი კოლეგების უმრავლესობისგან განსხვავებით, სრულ კონტრაქტს მოაწერა ხელი ყაზანის „აკ ბარსთან“, რაც იმას ნიშნავს, რომ ლოკაუტის დასრულების შემთხვევაშიც სეზონის ბოლომდე რუსეთში დარჩება. ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება ბრეტუეიტის შთაბეჭდილებები, რომელთაც ასე გულახლილად უზიარებს „სპორტ-ექსპრესის“ ჟურნალისტს*

— იცოდით თუ არა რაიმე რუსეთის სუპერლიგის თაობაზე?

— პრაქტიკულად არაფერი, გარდა იმისა, რომ ლოკაუტის დროს რუსეთში თამაშს თითქმის ყველა რუსი ნჰლ-ელი აპირებდა.

— და აი, რუსეთში აღმოჩნდით. თქვენი პირველი შთაბეჭდილება.

— სიმართლე გითხრათ, საკმაოდ მესიამოვნა, ვინაიდან ჩამოსვლამდე თქვენს ქვეყანაზე ბევრი ბნელი ისტორია მქონდა მოსმენილი.

— მაგალითად?

— ვითომდა რუსეთში უამრავი მათხოვარი და გალატაკებული ხალხია. სხვათა შორის, 1998 წელს რამდენიმე დღით ვიყავი აქ (ბრეტუეიტი „ბალტიკის თასზე“ კანადის ღირსებას იცავდა) და მას შემდეგ ბევრი რამ შეცვლილა. ეგებ ეს სწორედ ყაზანში უფრო შეიმჩნევა, ვინაიდან ქალაქი მალე დაარსებიდან 1000 წლისთავს იზეიმებს.

— „აკ ბარსმა“ როგორ მიგიღოთ?

— უმაღლეს დონეზე. ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ასეთ კომფორტულ ბინას შემომთავაზებდნენ.

— იყო ისეთი დღეები, როცა ვერავის ესაუბრებოდით?

— ხუმრობთ? პირუტყვი ხომ არა ვარ, მთელი დღე ჩუმად ვიყო! მართალია, რუსული არ ვიცი, მაგრამ პირველ ხანებში ორი პარტნიორი — დეივ ნემიროვსკი და სერგეი ვარლამოვი მეხმარებოდნენ. მათ თავის დროზე ჩრდილოეთ ამერიკაში უთამაშიათ. მერე ისინი წავიდნენ და იძულებული ვიყავი, მიმიკასა და ჟესტებისათვის მიმემართა. კიდევ კარგი, გუნდში ახლა ბევრი ლეგიონერია.

— შინ დაბრუნებაზე ხომ არ გიფიქრიათ?

— ერთი-ორჯერ. მე ხომ მიჩვეული ვარ იმას, რომ კოლექტივის ნაწილი ვიყო. აქ კი, როცა გასახდელში ვიჯექი და ბიჭებს ვუყურებდი, როგორ ხარხარებენ, ლამის გული მისკდებოდა.

— ნჰლ-ში ყველამ ზუსტად იცის, ვინ რა ხელფასს ღებულობს. ხომ არ გეუცხოებათ ის, რომ აქ ჯამაგირი უდიდესი საიდუმლოა.

— პირადად მე ეს მომწონს კიდეც. თანაც არა მგონია, ყაზანის მაცხოვრებელთა უმრავლესობას მოსწონებოდა, ამ თანხის რაოდენობა რომ გაეგო.

— წარმოიდგინეთ, რომ ლოკაუტი უსაზღვროდ გაიწელა. დარჩებით რუსეთში?

— ფიქრიც კი არ მინდა ამაზე. ყოველთვის ნჰლ-ში თამაშზე ვოცნებობ და არა მგონია, რომ მოვლენები ასე უკიდურესად განვითარდეს.

— რას იტყვით იმაზე, რომ ხშირად არა სახლში, არამედ გუნდის კომპლექსში გიწევთ ღამის თევა?

— ბაზაზე მეკითხებით (საინტერესოა, რომ სიტყვა „ბაზას“ ბრეტუეიტი რუსულად უაქცენტოდ ამბობს)? აი, ამაზე კი არაფერი ვიცოდი და თავიდან ძალიან გამიჭირდა. მით უმეტეს, რომ ჩვენი ყოფილი ბაზა შორს იყო იდეალურისაგან. კიდევ კარგი, ახალზე გადავედით. თანაც ახლა ბაზაზე მხოლოდ თამაშის წინა ღამეს ვრჩებით, დანარჩენ დროს კი შინ ვარ და სატელიტური ანტენით ამერიკული არხების ყურებით ვტკბები.

— ერთი ისეთი კაცი მაჩვენეთ, ვისაც ბაზაზე ყოფნა მოსწონს. მე მგონი, რუსებსაც კი სძულთ. სხვათა შორის, აქ ბევრ ისეთ რამეს წავაწყდი, რაც აქამდე არ მესმის და მგონი, აზრი არცა აქვს ამის გაგებს.

— მაგალითად? — გავიგეთ, რომ



კუპრივით შავი ფრედ ბრეტუეიტი ნჰლ-ს ლოკაუტს ყაზანში გამოიზამთრებს

პეტერბურგის სკა-ში მოთამაშე თქვენი თანამემამულე გარტ სნოუ ძალიან უკმაყოფილოი იყო საბაზო რეჟიმით.

— აი, თუნდაც ის პაუზა ავიღოთ, რომელიც რუსეთის ნაკრების საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობით იყო განპირობებული. თითქოს ეს დრო დასასვენებლად უნდა გამოგვეყენებინა, არა?! ნურას უკაცრავად, მაინც დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ! ეს კი, მომკალით და, არ მესმის. შრომა კარგია, მაგრამ ნუთუ აქ არავის ესმის, რომ ადამიანს დასვენებაც სჭირდება!..

— ქალაქში რითი დადიხართ?

— მანქანით.

— თქვენი აზრით, რა არის რუსეთში უარესი, გზები თუ მოძრაობა?

— ერთიც შოკში მაგდებს და მეორეც. უკვე იმაზე ვფიქრობ, ყაზანში საბურავების მაღაზია გავხსნა.

— რუსეთში დარჩებოდით კარიერის დასრულების შემდეგ? ბევრი რუსი ჰოკეისტი ხომ ამერიკაში ირჩევს ცხოვრებას.

— აქ ვერასდროს ვერ ვიცხოვრებდი. მე მაინც დასავლური აზროვნების ადამიანი ვარ და თანაც მეგობრები, ნათესავები და ურთიერთობა მენატრება.

— ნჰლ-ურ ჰოკეიც გენატრებათ?

— თანაც როგორ. ნჰლ-ში ყოველი მატჩი დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენაა. სამწუხაროდ, აქ ყველა თამაშზე ამას როდი იტყვი. მაინც სულ სხვა ატმოსფეროა.

ცურვა



# გერმანული საღიაწყლო დუბლი



დუბაიში ღია წყალში ცურვის მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს და იმ დღეს 10 კილომეტრიან დისტანციაზე ორივე, კაცთა და ქალთა გაცურვაშიც გერმანელებმა იმარჯვეს. კაცთაგან ეს 25 წლის ტომას ლურცმა მოახერხა, ქალთაგან კი — მისმა კბილა ბრიტა კამრაუმ. ამ ფაქტთან დაკავშირებით გერმანულმა პრესამ ბრიტას პიკანტური ფოტოები გამოჰფინა. მარტო ამ ფოტოების მიხედვითაც კარგად ჩანს, რომ ბრიტას აშკარად უფრო მეტი რამ აქვს საჩვენებელი, მაგრამ თავად მოცურავე უფრორე მოშიშვლებისგან მაინც თავს იკავებს — და ეს იმის მიუხედავად, რომ ჟურნალ „ფლეიბოისგან“ უკვე ორი შეთავაზება მიუღია. მართალია, ეროტიკული ფოტოები კარგად გამომდის, მაგრამ სულ გახდა მაინც მიტყდებაო, ამბობს ის. ისე კი, რაკილა შორ დისტანციებზე ცურვას მისგან უამრავი კალორია მიაქვს, ბრიტა თავს უფლებას აძლევს, დიეტა სულ თავის დაბრანულ ფეხებზე დაიკიდოს — ყველაზე მეტად სწორედ ყველაზე ანდიეტური პონტები, ანუ გვიან ჭამა და ტკბილეული მევასებაო.

კრივი

# იუშჩენკოსთვის კლიჩკოც იჩხუბებს

**რამდენიმედღიანი** პოლიტიკური აქტიურობის შემდეგ პროფესიულად მოკრივე უკრაინელმა ძმებმა, ვიტალი და ვლადიმერ კლიჩკოებმა კვლავ ხელთათმანები მოირგეს. უფროსი, ვიტალი 11 დეკემბერს ლასვეგასში გასამართი სუპერბრძოლისთვის ემზადება. WBC-ს ვერსიით მსოფლიოს უკრაინელი ჩემპიონი ქამრის შესანარჩუნებლად მაიკ ტაისონის მძლეველ ბრიტანელს დენი უილიამსს ეკრივება.



ამ ბრძოლის ჩატარება საბოლოოდ რამდენიმე დღის წინ გადაწყდა. მანამდე თარიღის გადაწევაზე იყო საუბარი, მიზეზი კი უკრაინაში მიმდინარე ამბები გახდა. ჩემპიონს ვიქტორ იუშჩენკოს და ხალხის გვერდით ბოლომდე დგომა ჰქონდა გადაწყვეტილი, თუმც ბოლოს იფიქრა, ჩემს მხარდაჭერას სწორედ საქმით დავამტკიცებო. ორიოდ დღის წინ მასთან ამერიკაში ვლადიმერიც ჩავიდა.

ერთ-ერთი ამერიკული გამოცემისთვის მიცემული ინტერვიუც პოლიტიკით დაიწყო და კრივით გაგრძელდა.

„11 დეკემბრის კრივით მინდა, მსოფლიოს დავანახო, რომ დემოკრატიას ვუჭერ მხარს და ჩემს ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმის დამყარების მცდელობას ვერ ვეგუები — თქვა ვიტალიმ — რაც შეეხება თავად ბრძოლას, დარწმუნებული ვარ, უძლიერეს მეტოქესთან მელის შეხვედრა. დენი უილიამსი დღეს ყველა სავარაუდო პრეტენდენტზე ძლიერია და ჩხუბის განსაკუთრებული სტილიც აქვს. მიუხედავად ამისა, გამარჯვებაში ეჭვი ოდნავადაც არ მეპარება. ბრიტანელს აუცილებლად წავაქცევ და ლუისისა და სანდერსის მსგავსად პენსიაზე გავუშვებ.“

ბოლოს ვიტალი კლიჩკო ევანდერ ჰოლიფილდსაც გადასწვდა: „ეს კაცი ჩემი კერპი იყო, მაგრამ ახლა მისი ყურებისას გული მიკვდება. ერთ დროს მსოფლიოს უძლიერესი მოკრივე ერთმანეთის მიყოლებით აგებს. ეს სიბერის ბრალია. მე როცა შევატყობ, რომ მუშტებს ძველებურად ვეღარ ვიქნევ, ხელთათმანს მაშინვე კედელზე ჩამოვკიდებ.“

**ოთარ მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს XV ჩემპიონატი

# წრე შეიკრა

**გუშინ** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში გაიმართა ხუთიოდე დღის წინ უშუქობის გამო ჩაშლილი მატჩი. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის გუნდები — „ქარიშხალა“ და 1988 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ნაკრები.

მართალია, ეს შინაური შეხლა იყო, მაგრამ სკოლელ ბიჭებს ურთიერთბრძოლაში ჟინი და მონდომება არ დაუკლიათ და ლამაზი თამაშიც გამოვიდა. როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება უფროსმა სკოლელებმა მოიპოვეს და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე აინაცვლეს.

**ვითარება პირველი წრის შემდეგ**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 8 | 1 | 0 | 260:206 | 17 |
| სტუ-შევარდენი | 8 | 0 | 1 | 315:225 | 16 |
| ქარიშხალა | 6 | 1 | 2 | 281:253 | 13 |
| თელავი | 6 | 0 | 3 | 251:222 | 12 |
| ქუთაისი | 5 | 1 | 3 | 300:274 | 11 |
| საუ-მამული | 4 | 1 | 4 | 336:268 | 9 |
| ჭაბუკები | 3 | 0 | 6 | 211:259 | 6 |
| ბათუმი | 1 | 1 | 7 | 226:287 | 3 |
| სამტრედია | 1 | 1 | 7 | 216:308 | 3 |
| გორი | 0 | 0 | 9 | 193:294 | 0 |







*ესეც კიდევ ერთი ქართველი „დიჟონში“ — ბესიკ ლეჟავა. გუშინ გაუწყეთ, რომ თსუ-ს 18 წლის მსროლელი ფრანგებმა გასასინჯად იხმეს, ახლა კი ლეჟავას ამ გუნდში ჩარიცხვის ამბავს მოგახსენებთ: გადაწყვეტილია, რომ იგი „დიჟონში“ რჩება, ოღონდ, სხვა ქართველებისგან განსხვავებით ბესო დუბლებში ითამაშებს. ლეჟავას საფრანგეთში მისი „აგენტის“, ვიქტორ სანიკიძის დახმარებით გავესაუბრეთ...*

# მანქანას იყიდი?

## ლეჟავა პატარა დიჟონელია

— კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია, მაგრამ უკვე გადაწყვეტილია, რომ „დიჟონში“ ვრჩები.

— ესე იგი, დიჟონელებს თავი მოაწონე. ხომ არ გაგიჭირდა?

— თავიდან ცოტა კი გამიჭირდა, მაგრამ მალევე ავუღე ალღო ახალ ატმოსფეროს. აქ ოდნავ სხვანაირი კალათია და სამქულიანების ჩაგდება ცოტა გამიძნელდა, თუმც მალევე შევეგუე და მიზანიც გავისწორე.

— რამდენი ხანი დასჭირდათ დიჟონელებს, რომ შენი გუნდში აყვანა გადაეწყვიტათ?

— დაახლოებით ერთი კვირა. აქ 19 ნოემბერს ჩამოველი და მას შემდეგ გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. აქაურებმა მრავალნაირი გამოცდა მომიწყვეს, ცალკეც მავარჯიშეს და დუბლიორთა გუნდის ლიდერთან ერთადაც. ახლა კი გავიგე, რომ მიტოვებენ.

— დუბლებში იქნები?

— ჰო, მხოლოდ დუბლიორთა გუნდში ვითამაშებ. დიდებთან შეხება არ მექნება. კონტრაქტი სეზონის ბოლომდე იქნება და მას ამ დღეებში გავაფორმებ.

— ახლა პირობებს ათანხმებ?

— არა, პირობებს რა დიდი შეთანხმება უნდა, მე ხომ პროფესიულ კონტრაქტს არ ვაფორმებ. ხელშეკრულებაში ის აუცილებელი პირობები შევა, რაც ჩემი აქ ცხოვრებისათვის და მომზადებისთვის იქნება საჭირო, მე ახლა დიდ ხელფასს არავინ დამინიშნავს, ხოლო ბინის, ჩაცმა-დახურვისა და კვების სახსრებს, ცხადია, კლუბი გაიღებს.

— ამხანაგური მატჩი ხომ არ გითამაშია?

— არა, აქ ახლა ჩემპიონატი მიმდინარეობს და გათავისუფლების ფურცელი რომ მქონოდა, ბოლო ტურში ვითამაშებდი. მწვრთნელმა მითხრა, საბუთები რომ მოწესრიგებული გქონდეს, მოედანზე შეგიყვანდიო, მაგრამ...

— პრობლემა ხომ არაა მაგ საბუთის მიღება? თან გათავისუფლების ფურცელში ფულიცაა გადასახდელი...

— ეგ მე აღარ მეხება, ყველაფერს „დიჟონის“ მენეჯერი მოაგვარებს საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან. გადასახდელი იქნება გარკვეული თანხა, მაგრამ თუ ჩემი გუნდში აყვანა ისურვეს, დიჟონელები, ცხადია, ფულსაც გაიღებენ.

— თსუ-მ უპრობლემოდ გაგიშვა?

— არაფერში შევუფერხებივარ, რადგან თსუ-ს ხელმძღვანელობამ წინდაწინ იცოდა, რომ საფრანგეთში წასვლას ვაპირებდი.

— ვისი დახმარებით გაემგზავრე „დიჟონში“?

— მე რომ აქ ვარ, ვიქტორ სანიკიძის დამსახურებაა. მან დიჟონელებს უთხრა, ჩამოიყვანეთ გასასინჯად ლეჟავა და მისი უკან გაშვება აღარ მოგინდებათო. ვიქტორის დიდი მადლობელი ვარ, კარგი საქმე გამიკეთა.

— ახლა მასთან ცხოვრობ?

— ჯერჯერობით მასთან ვარ და კონტრაქტის გაფორმების შემდეგ შეიძლება, ცალკე გადამიყვანონ. მე არსადაც არ მინდა წასვლა, სანიკიძეზე ახლობელს აქ ვის ვნახავ.

— ისე, ქართველები უკვე მომრავლდით საფრანგეთში...

— ჰოდა, ძალიანაც კარგი — ამით ხომ ჩვენც ვიხეირებთ და ეგებ საქართველოს ნაკრებსაც გამოვადგეთ. შალონშია ჩემი თსუ-ელი თანაგუნდელი დავით საყვარელიძე, რომელსაც ახლო მომავალში აუცილებლად ვნახავ.

*ლეჟავას რომ დავემშვიდობეთ, მისმა „აგენტმა“ ვიქტორ სანიკიძემ ხუმრობით გვითხრა: ამ ტრანსფერიდან ახლა ბესოს კაპიკს არ გამოვართმევ, ხოლო მერე, თუ სერიოზულ გუნდში გადავა და დიდ ფულს იშოვის, ერთ კარგ მანქანას ვაყიდინებო...*

**ირაკლი პერტაია**

— 30 ნოემბერი —

**მილუოკი 90:95 ლეიკერსი**

მილუოკი: უილიამსი (21 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა), რედი (8), მეისონი (32), ვან ჰორნი (11 ქულა, 10 მოხსნა), გადურიჩი (9); ჯეიმსი (7), ფაჩულია (13 წუთი, 2 ქულა, 3 მოხსნა), ფიზერი, სტრიკლენდი

ლეიკერსი: ეტკინსი (13), ბრაიანტი (20 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა), ბატლერი (10), ოდომი (16 ქულა, 11 მოხსნა), მიმი (4); კუკი (25 ქულა, 11 მოხსნა), ჯონსი (3), დივაცი (2), რაში (2), ბრაუნი

**პორტლენდი 100:94 სიეტლი**

პორტლენი: აბდურ-რაჰიმი (25), მაილზი (20), რენდოლფი (19)

*სტეფანია განაცხადში არ იყო*

სიეტლი: ლუისი (29), ალენი (21)

**დალასი 89:107 სან ანტონიო**

დალასი: ნოვიცკი (21 ქულა, 13 მოხსნა), ჰოვარდი (17)

სან ანტონიო: დანკანი (20 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება), პარკერი (17)

**იუტა 102:115 ფინიქსი**

იუტა: ბუზერი (27 ქულა, 18 მოხსნა), ჰარპრინგი (19)

ფინიქსი: სტუდემაიერი (29), მარიონი (21), ნეში (20 ქულა, 14 პასი)

**ატლანტა 109:110 ნიუ იორკი**

ძირითადი დრო 98:98

ატლანტა: უოლკერი (36 ქულა, 13 მოხსნა), დელკი (21)

ნიუ იორკი: მარბერი (32 ქულა, 16 ჩაქრა), კროუფორდი (24), მუჰამედი (22 ქულა, 15 მოხსნა)

**მაიამი 92:94 ტორონტო**

მაიამი: ონილი (34 ქულა, 17 მოხსნა), ვეიდი (22)

ტორონტო: როუზი (24), მარშალი (16)

**ნიუ ჯერსი 99:86 შარლოტი**

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (23), უილიამსი (22), მურნინგი (18 ქულა, 11 მოხსნა)

შარლოტი: ოკაფორი (26 ქულა, 12 მოხსნა)

**მემფისი 93:98 საკრამენტო**

მემფისი: მილერი (25), გასოლი (22 ქულა, 13 მოხსნა), უოტსონი (19)

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (29), ვებერი (22 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი)

**ჰიუსტონი 72:93 დეტროიტი**

ჰიუსტონი: ჯეკსონი (21), მინგი (19), მაკგრეიდი (16)

დეტროიტი: მაკდაიესი (19 ქულა, 10 მოხსნა), ჰამილტონი (19), ბილაფსი (18)



REUTERS

ნიუიორკელმა სტივენ მარბერიმ „ატლანტას“ 32 ქულა ჩაუგდო

Euroleague

## ევროლიგა

V ტური. 1 დეკემბერი

**A ჯგუფი**

ესტუდიანტესი 75:67 პროკომი

კლიმამიო 99:90 ციბონა

**C ჯგუფი**

სკაილაინერზი 73:67 უნიკახა

ბენეტონი 50:65 ულქერი

პანათინაიკოსი 99:95 ტაუ

ძირითადი დრო 85:85

ცსკა 80:60 პო ორტეზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შე ნამცხვარო

ბრაზილიის კლუბი „ინტერნასიონალი" კოპა ლიბერტადორესის ნახევარფინალშია. „ბოკა ხუნიორსთან" თამაშის წინ ბიჭებს გაახსენდათ, რომ მწვრთნელი მურიტი რამალიოს დაბადების დღე აქვს და ისე მიულოცეს, როგორც პორტუ ალეგრეში იციან: თავს კვერცხები დაატეხეს და ფქვილიც ბლომად მოაყარეს, შე ნამცხვაროო. ლაღი ხალხია, დიახ.



REUTERS

# ტედ-მაშენებელი

ტედ ტერნერი, განთქმული ულვაშა მილიარდერი ნბა-ს გუნდების, „ატლანტა ბრეივზის" (1970-იანი წლები) და „ატლანტა ჰოუქსის" პატრონ-მაშენებელი იყო. ნბა-ს კომისარი დევიდ შტერნი ტედს უკვდავყოფას ულოცავს: ატლანტის „ფილიპს არენას" ჭერში, ტერნერის გვარ-სახელით აღბეჭდილი ბანერი ჩამოკიდეს.



REUTERS



REUTERS

# ჰერმინატორი ისვენებს

ეს შეჯიბრი არ არის, დიდი ავსტრიელი ჰერმან მაიერი უბრალოდ ხეირნობს. კოლორადოში, ბივერ კრიკში დიდთოვლობაა და სწრაფდაშვების ტრასა დროით ვერ გაიწმინდა. ამიტომ, „ჰერმინატორი" ჩაფუთნულა და მოძრაობს.



REUTERS

# დამთავრდა

მოვიდა წასვლის დროც:
ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი,
ბრიტანეთის ნიჩბოსნობის ზეკაცი
მეტიუ პინსენტი აწი უფრო ხშირად იჯდება
ასე. პეკინის ოლიმპიადაზე მეტიუ აღარ
იქნება და ვერ გაიმეორებს სერ სტივ
რედგრეივის რეკორდს, რომელმაც
5 ოლიმპიური ოქრო მოუტანა ბრიტანეთს.

# აი, სატოლე!



რონალდოს ცოლი მოჰყავსო, აი, ეს გულსავსე მდედრი, დანიელა ჩიკარელი აცხადებს. რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, რონალდო სწორედ ჩიკარელიზე აპირებს დაქორწინებას და მეორედაც სიამოვნებით გაჰყოფს თავს ცოლქმრულ უღელში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კლაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ილია ნარობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge